პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 ივლისი 2004 №170 (2191) ფასი 50 თეთრი



## ლენს არმსტრონგი ისტორიაში შეიჭრა

### ველოსამყარო ორად გაიყო: ის...................... და სხვები



REUTERS პარიზიდან

## ბენდოს ბენდის ტაში და ტუში

### თასის ფინალში ყოჩი ლოკომოტივი იყო

## ბრაზილია: დუბლი მეშვიდე



REUTERS ლიმიდან

არგენტინას წამებილა აშორებდა „კოპა ამერიკას" მოგებამდე, მაგრამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა, ადრიანომ არ დაანება — მოხდენილი დარტყმით ტაბლოზე 2:2 ააკიაფა და მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.

არგენტინას კვლავ ჰქონდა „კოპა ამერიკას" მოგების შანსი, თუმც ამჯერად ჟულიო სეზარმა არ დაანება — ბრაზილიელთა მეკარემ პენალტების სერიაში პირველივე დარტყმა აუღო დალესანდროს. მერე კი... მერე კარლოს ალბერტო პარეირას ურონალდო, ურონალდინიო, ურობერტოკარლოსო, უდიდაო და ასე შემდეგ უუუ—ო ნაკრებმა პერუს დედაქალაქ ლიმაში ამერიკის თასი ასწია.

თუ დავუთვლით, ბრაზილიამ კოპა მხოლოდ მეშვიდედ მოიგო.



## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

II საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

# 27-ში, სამშაბათს ვიტ ჯორჯია — ვისლა ერთი დღით ადრე

**თბილისის „ვიტ ჯორჯია“** ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს 28 ივლისის ნაცვლად 27-ში გამართავს. ამის მიზეზი 29 ივლისის უეფას თასის საპასუხო მატჩი „დინამო“ — ბატე გახდა. ვეტერინართა გუნდს უეფამ სთხოვა თამაშის ერთი დღით ადრე ჩატარება, რადგან 28 ივლისს ბელარუსულმა ბატემ უნდა ივარჯიშოს ეროვნულ სტადიონზე.

კრაკოვის „ვისლაც“ თბილისში დღეს ჩამოვა, ნაცვლად სამშაბათისა და დღესვე ივარჯიშებს.

რაც შეეხება ოთარ მარცვალაძის დისკვალიფიკაციას, ჯერაც არაა ცნობილი, უეფა ვიტჯორჯიელს რამდენი მატჩით დასჯის.. თუმცა ის კი უეჭველია, რომ მარცვალაძე თბილისურ მატჩს გამოტოვებს.

**დავით ერაძე**

## უეფას თასი 2004-2005

საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# რეპეტიცია ღამის ბატესთვის



გიორგი ნემსაძე ისევ მოედანზეა

**29 ივლისს** თბილისის „დინამო“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ბორისოვის ბატეს უმასპინძლებს. ბელარუსები თბილისში ან 27 ივლისს საღამოს ჩამოვლენ ჩარტერული რეისით ან 28 ივლისის დილით.

მატჩი ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე დაიწყება და გუშინწინ „დინამომ“ სწორედ „ეროვნულზე“ საღამოს რვა საათზე ითამაშა ამხანაგურად თბილისის „ლოკომოტივთან“ და 2:0 მოიგო.

გია გეგუჩაძის გუნდი მეტოქეს აშკარად სჯობნიდა სისწრაფესა და ღონეში. ზაურ სვანაძის „ლოკომოტივი“ ურიგო გუნდი არ უნდა იყოს, მაგრამ „ფიზიკაში“ დინამოელებთან ვერაფერს გახდა.

პირველი გოლი ბორის გონჩაროვმა გაიტანა გიორგი შაშიაშვილის პასით, მეორე ტაიმი და მეორე გოლი კი ლადო ბურდულის იყო — დინამოელთა ფეხმარდი შუახაზელი მარჯვედ დაჰქროდა და ლამაზადაც გაახვია ბურთი დავით გვარამაძის კარის ცხრიანში.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

**დინამო:** *მამალაძე (თოთლაძე 77), შაშიაშვილი (გრიგალაშვილი 53), ლ. სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი (გიგაური 67), კვირკველია (ხმალაძე 56), კაშია, კანკავა (კ. ალადაშვილი 53), ნემსაძე (ბურდული 56), კანდელაკი, გონჩაროვი (კაკალაძე 62), მელქაძე (დვალი 62)*

**ლოკომოტივი:** *ბათიაშვილი (გვარამაძე 46), გ. ონიანი (ხუბუტია 78), ი. ვაშაკიძე, ბაქრაძე (სოსელია 55), რ. ონიანი, მახვილაძე, ლაცაბიძე (ბესარაშვილი 69), ლ. ჩხაიძე (დ. დოლიძე 78), გაგუა (მედოევი 67), სანიკიძე (ყლენტი 73), ქებაძე (დევიძე 60).*

### უკრაინა

პრემიერლიგა. III ტური

დინამო 3:0 ვოლინი
ჩერნომორეცი 0:0 ზაკარპატია
ილიჩევეცი 2:2 ტავრია
ბორისფენი 0:9 ობოლონი
მეტალურგი (დ) 1:1 კრივბასი
მეტალურგი (ზ) 0:0 არსენალი
ვორსკლა 0:1 მეტალისტი
დნიპრო 1:3 შახტარი

### ამხანაგური მატჩები

ტიროლი 1:2 კაიზერსლაუტერნი
ბენფიკა 2:2 რეალი
მანჩესტერი 0:0 ბაიერნი

### ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური

სოგნდალი 1:2 სტაბეკი
ოდ გრენლანდი 3:5 ბოდიო გლიმტი
რუსენბორგი 3:1 ფრედრიკსტადი
ლილესტრიომი 5:1 ვიკინგი
ტრომსიო 0:3 ჰამ კამი
მიოლდე 2:3 ბრანი

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი XII ტური

აკრანესი 0:4 ფრამი
ვიკინგური 1:2 რეიკიავიკი
კეფლავიკი 0:1 ჰაფნარფიორდური



*არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ ავსტრიიდან ბრიტანეთში დაბრუნდა და ინგლისური პრემიერლიგის „ფულჰემს“ ლონდონში 1:0 მოუგო. ზურაბ ხიზანიშვილმა მატჩი სრულად ითამაშა, ხოლო შოთა არველაძე შეცვლაძე შევიდა და ბოლო 25 წუთი დაჰყო მინდორზე.*

*ახლა კი „რეინჯერსი“ უკვე გლაზგოშია და ხიზანიშვილსაც იქ დავურეკეთ*

# დემონები უნდა დავმარხო

## მითხარით, რატომ ვერასოდეს ვერ გავდივართ ფინალურ ეტაპზე?

— „ფულემთან“ კარგი თამაში იყო, ძალიან აზარტული, სტადიონიც თითქმის სავსე იყო და მიუხედავად ამხანაგური მატჩისა, გამარჯვება ჩვენთვის ერთობ მნიშნელოვანი გახლდათ.

— თითქმის ყველა ბრიტანული სააგენტო თუ გამოცემა აღნიშნავს დადო პრსოს ლამაზ გოლს...

— პრსომ მართლაც ლამაზი მაკრატელა შეასრულა — სამი მცველის გარემოცვაში მოულოდნელად დაარტყა რთული სიტუაციიდან.

— გაწევ-გამოწევა გქონია „ფულემის“ პორტუგალიელ შემტევ ლუიშ ბოა მორტესთან და „რეინჯერსის“ კაპიტანი შტეფან კლოსი გამშველებელი ყოფილა...

— მე და მორტე კი არა, იმ მომენტში, მგონი, ყველა კინკლაობდა. პირველ ტაიმში მორტე სულ ფეხებში მირტყამდა, ვუთხარი, ამხანაგური თამაშია და რას შვრები-მეთქი. მან რამდენჯერმე მომიბოდიშა, მაგრამ ფეხში მაინც მარტყამდა. მეორე ტაიმში კი ჩვენს მეკარეზე, კლოსზე წავიდა უხეშად და ამის მერე მოხდა ჩვენი გაწევ-გამოწევა, მეც ალარაფერი დავუთმე.

— „ფულემთან“ შეგეძლო, პირველი „რეინჯერსული“ გოლი გაგეტანა...

— თავით უნდა შემეგდო, მაგრამ მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი. კარგი მომენტი ჰქონდა შოთასაც, ოდნავ ააცილა კარს.

— ერთ-ერთი გლაზგოური გაზეთისთვის გითქვამს, „რეინჯერსი“ თავის ფორმას იღებსო — რას გულისხმობდი?

— შეკრებაზე ყველა თამაში მოვიგეთ, „რომას“ და „ფულემის“ ძლევა ძალიან სასიმოვნო იყო და გუნდს თამაშზეც ვატყობ, რომ „რეინჯერსი“ ამ სეზონში გაცილებით უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე შარშან.

— გლაზგოურმა „ივნინგ თაიმსმა“ შენზე დაწერა, ხიზანიშვილს წინა სეზონში არ უმართლებდა, მაგრამ ახლა დაიფიცა, რომ თავის დემონებს დამარხავსო...

— სხვა შანსი არ მაქვს, ჩემი დემონების დამარხვა უნდა ვცადო.

— „ფულემთან“ და „რომასთან“ რა პოზიციაზე ითამაშე?

— დაცვის ცენტრში ფრანკ ახალწვეულ ბუმსონგთან, მარჯვენა მცველად რიკსენი თამაშობდა, მარცხნივ ვანოლი.

— „სელტიკს“ ჰენრიკ ლარსონი რომ აღარ ეყოლება, ეს „რეინჯერსისთვის“ დიდი შეღავათია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ გააჩნია, „სელტიკი“ ვის დაიმატებს — არაა გამორიცხული, სელტიკელებმა ლარსონზე არანაკლებ სახელიანი ფორვარდი აიყვანონ, თუმც ლარსონი მართლაც ლეგენდად დარჩება „სელტიკისთვის“.

— ეს რეინჯერსული სეზონი შენთვის იმითაც იქნება მნიშვნელოვანი, რომ უკეთეს გუნდში გადასვლას შეეცდები?

— ეს სეზონი ამ მხრივ გარდამტეხი იქნება. შარშან სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი „რეინჯერსთან“ და ერთი სეზონი უკვე გავიდა. თუ მეორის შემდეგ მესამე სეზონიც „რეინჯერსში“ ვითამაშე, მერე უკვე თავისუფალი აგენტი გავხდები და „რეინჯერსიც“ ჩემში ვერაფერს მიიღებს. ასე რომ, ჩემი სხვა გუნდში გადასვლის თვალსაზრისით ეს სეზონი „რეინჯერსისთვისაც“ მნიშვნელოვანი იქნება.

— ეროვნულ ნაკრებს სადაცაა ახალი შესარჩევი ციკლი დაეწყება — რა იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩვენი ნაკრებისთვის?

— მთავარია, რომ ნაკრების ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად იყოს, თორემ თუ ორი-სამი წამყვანი მოთამაშე გამოგვაკლდება, ეს ჩვენთვის ძალიან დიდი დანაკლისი იქნება.

— შენს თაობას, 22-25 წლის ფეხბურთელებს რა შესაძლებლობა აქვთ, ნაკრების წარმატებაში რა წვლილის შეტანა შეუძლიათ?

— გულშემატკივარს ნაკრების იმედი უნდა ჰქონდეს და არა რომელიმე თაობის. ჩვენს ნაკრებში კი წამყვანი ფეხბურთელების შემცვლელები ძნელად მოიძებნებიან, და საერთოდ, შეიძლება, ერთი კითხვა მეც დავსვა.

— რა თქმა უნდა...

— რა ხდება, რატომ ვერასოდეს ვერ გადის საქართველოს ნაკრები ფინალურ ეტაპზე?

— ამ კითხვის პასუხი პირველ რიგში თქვენ, ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა უნდა იცოდეთ.

— საქართველოში არ არის სწორი მიდგომა ფეხბურთისადმი, რის გამოც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი იკარგება. ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ რა გადამხდა თავს, დიდი შანსი იყო, ფეხბურთისთვის საერთოდ დამენებებინა თავი...

**დავით თავართქილაძე**



ბოა მორტე და ზურაბ ხიზანიშვილი შტეფან კლოსმა და ჟან-ალენ ბუმსონგმა გააშველეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რევაზ გოცირიძე ბუა ჰგონიათ



## კამაზი გაზს მიაღვა

*რუსულ პირველ ლიგაში ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზი" „გაზოვიკ გაზპრომს" სტუმრობდა და 5:3 მოუგო.*

*კამაზელთა ძირითადს ნელ-ნელა რევაზ გოცირიძეც უშინაურდება. ამჯერზე მან მოედანზე უწინდელზე მეტი დრო დაჰყო, თუმც გოლი კვლავაც არ გაუტანია.*

*გუშინ რეზოს ნაბერეჟნიე ჩელნიში შევეხმიანეთ ...*

— „გაზოვიკთან" ბოლო ოცდაათი წუთი ვითამაშე. იღბლიანად შევედი, ანგარიში 1:1 იყო და ხუთ წუთში სამი გოლი გავიტანეთ.

— გოლი არ გაგიტანია და, საგოლე კომბინაციებში მაინც თუ მონაწილეობდი?

— ორჯერ თავით მოვიგე ბურთი და ამას გოლები მოჰყვა, ერთხელაც ცრუმოძრაობა გავაკეთე, თითქოს ბურთი უნდა მიმეღო და მცველები ჩემზე წამოვიდნენ, ამ დროს მარტოდ დარჩენილმა ჩემმა თანაგუნდელმა იხეირა. საერთოდ, გაკვირვებული დავრჩი, მოედანზე ჩემი გასვლა და მეტოქის ორი მცველის აკიდება ერთი იყო. არ ვიცი, ჩემზე ასეთი რა ინფორმაცია ჰქონდათ.

— ესე იგი, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ...

— თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჯერაც ადაპტაციის პერიოდი მაქვს და სულ სამ შეხვედრაში, ისიც შეცვლებზე ვითამაშე, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს. ახალ კლუბში ახალ სათამაშო სტილზე გადაწყობა მოსალოდნელზე უფრო ძნელი აღმოჩნდა. „ვიტ ჯორჯია" სულ სხვა ფეხბურთს თამაშობს.

— სხვაობა დიდია?

— ორივეს თავისი პლუსები აქვს. ტექნიკით „ვიტ ჯორჯია" აჯობებდა, სისწრაფით, სიხისტით კი „კამაზი".

— მაღა ჭამაში მოდისო და, პრემიერლიგას ხომ არ უმიზნებს „კამაზი"?

— თავიდან ათეულში მოხვედრა, შეთამაშება იყო დაგეგმილი. „კამაზი" ხომ წელს გადმოვიდა მეორე ლიგიდან. თუმცა საქმეები ისე მიდის, რომ რატომაც არ უნდა ვიფიქროთ უკეთეს ვარიანტზე — პრემიერლიგაზე.

— „კამაზის" მთავარ მწვრთნელზე, იური გაზაევზე რას იტყვი?

— იცის, როგორ დაქოქოს ბიჭები და ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ მოსაგებად გადის. კარგი ურთიერთობა გვაქვს. „გაზპრომთან" მატჩის შემდეგაც მელაპარაკა და მითხრა, გუნდს უკვე ეჩვევი და მალე ძირითადის შანსი მოგეცემაო.

**დავით ერაძე**

# კურბისის წასვლაზე ჯერ არ ლაპარაკობენ. შეიძლება, ფიქრობენ

*ვლადიკავკაზის „ალანია" საშინაო მატჩებს პიატიგორსკში ატარებს. ამის მიზეზი გუნდის სტადიონის მინდვრის საფარის შეცვლაა. ეს ვითომ საშინაო მატჩები კი ოსთა გუნდისთვის უიღბლო გამოდგა. მოსკოვის „დინამოსთან" 0:1 წაგების შემდეგ გუშინ „ზენიტთან" 0:3 დამარცხდა და ცხრილის ფსკერისკენ ჩაეშვა.*



*გუშინ ალანიელ ქართველთაგან სამივემ ითამაშა. ლევან გვაზავამ შეხვედრა სასტარტოში დაიწყო და ვიტალი დარასელიამ 68-ე წუთზე შეცვალა. მიხეილ ყაველაშვილი მოენდანზე 58-ე წუთზე შევიდა ზურაბ ნიკლაური ს ნაცვლად. ნამატჩევს ვიტალი დარასელიას შევეხმიანეთ.*

— ასეთი ალოგიკური მატჩი არც მახსენდება. პირველ ტაიმში გამოგონილი პენალტი გაგვიტანეს, თანაც ბოლო წუთზე. მეორე ტაიმი ჩვენი უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ სამი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გავანიავეთ, ზურგი მთლად მოვაშიშვლეთ და გოლები საკუთარ კარში მივიღეთ.

— ბოლო მატჩებია, თქვენი დაცვის ხაზი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს...

— ეს გასაკვირიც არაა. ორი ძირითადი მცველი ტრავმირებულია, ყველაზე მეტად კი არტურ პაგაევის არყოფნა დაგვეტყო.

— თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ ძირითად გუნდს დაუბრუნდი, კმაყოფილი დარჩი საკუთარი თამაშით?

— დასაწყისისთვის არა უშავდა. ერთხელ კარგად დავარტყი, მაგრამ მეკარემ, რომ იტყვიან, ბურთი გამომიძრო. ოც წუთში მეტი რაღა უნდა მომესწრო, თანაც ჯერ სასურველ ფორმაშიც ვერ ვარ. თამაშის შემდეგ ფეხი ისევ წამომტკივდა, ვიმედოვნებ, სერიოზული არაფერი იქნება.

— ზედიზედ სამი მატჩი წააგეთ, კურბისის გადადგომაზე ხომ არ ალაპარაკდნენ?

— ჯერჯერობით ამაზე არაფერი გამიგია. თუმცა მარტო კურბისმაც რა ქნას?! სრული ძირითადი შემადგენლობით, ფაქტობრივად, არცერთი მატჩი არ უთამაშია.

**დავით ერაძე**

# დინამომ თუ დააკლო, იაშვილს სამარაში გაზრდიან

**თბილისის „დინამოდან"** ერთი კვირის წინ სამარის „კრილია სოვეტოვში" წასული სანდრო იაშვილის სატრანსფერო ამბავი ჯერ კიდევ გაურკვეველია და ამ საკითხის გადაწყვეტა დღეს-ხვალისთვისაა მოსალოდნელი.

სანდრომ „კრილიაში" რამდენჯერმე ივარჯიშა, ორი საწვრთნელი მატჩი ითამაშა და მწვრთნელ გაჯი გაჯიევის მოწონებაც დაიმსახურა. სადღეისო ინფორმაციით, სამარელები მზად არიან იაშვილის შესაძენად, მაგრამ ტრანსფერის გაფორმებას ის თანხა აფერხებს, რაც „დინამომ" ფეხბურთელის სანაცვლოდ მოითხოვა, „კრილიას" კი ეძვირება.

ამჟამად კლუბებს შორის სწორედ სატრანსფერო თანხაზეა მოლაპარაკება და თუ შეთანხმდნენ, საქმის პირი კი აქეთკენაა, იაშვილი სამარაში დარჩება.

შევიტყვეთ ისიც, რომ სანდრო იაშვილს, რომელსაც საზარდული აწუხებს, რუსები თავიანთი ხარჯით ოპერაციის გაკეთებას სთავაზობენ. ფეხბურთელის ეს ტრავმა სამარელთათვის უმნიშვნელოა, ისე არიან მოწადინებული ჩვენებურის გადაბირებით.



# ადამიას ვისლა უნდა

## დიდი გაურკვევლობა: ვიტ ჯორჯია და ვარიანტები

*გიორგი ადამია ნაბერეჟნიე ჩელნიდან თბილისში დაბრუნდა და გუშინ „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ივარჯიშა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იგი გუნდს „ვისლასთან" დაეხმარება, მისი კლუბში დარჩენა კი ჯერაც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი.*

*სატრანსფერო გაურკვევლობაში მყოფ გიორგი ადამიას გუშინ ველაპარაკეთ*

— „კამაზში" თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, კონტრაქტის გაფორმებას აღარაფერი აკლდა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ საბანკო ანგარიშიდან კლუბი იმ თანხის გამოყოფას ვერ ახერხებდა, რაც ჩემს სანაცვლოდ უნდა გადაეხადა.

— შენ ხომ თავისუფალი აგენტის სტატუსით წახვედი...

— არა. „კამაზს" „ვიტ ჯორჯიასთვის" გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა.

— „კამაზს" ახლა თუ ვერა, ზამთარში მაინც თუ შეუერთდები?

— თუ ზამთრამდე უკეთესი ვარიანტები არ გამოჩნდა, ნაბერეჟნიე ჩელნიში ისევ ჩავალ. მწვრთნელს რომ ველაპარაკე მითხრა, ზამთარში „კამაზში" შენს ჩარიცხვას ველარაფერი დააბრკოლებსო. ახლაც კარგი გუნდი ჰყავთ და ზამთრისთვის თუ კიდევ უფრო გაძლიერდებიან, უმაღლეს ლიგაში გადასვლის დიდი შანსი ექნებათ.

— ამ გაურკვევლობაში ყოფნამ ფორმიდან ხომ არ ამოგაგდო?

— არა, ნორმალურად ვარ, თანაც „კამათან" სრული დატვირთვით ვვარჯიშობდი.

— „ვისლასთან" ითამაშებ?

— ამის შესახებ კლუბის მესვეურებთან ჯერ არ მილაპარაკია, თუმცა გუნდთან ერთად უკვე ვვარჯიშობ. საბოლოოდ ხვალ გადაწყდება პოლონელებთან მატჩში ჩემი მონაწილეობის საკითხი.

— წელან უკეთესი ვარიანტები ახსენე?

— რუსეთშიც და უკრაინაშიც სატრანსფერო სეზონი 31 აგვისტომდეა და ამიტომ ჯერაც გაურკვევლობაში ვარ. ჩემი აგენტი სხვადასხვა ვარიანტზე მუშაობს და გამორიცხული არაა, მალე რომელიმე კლუბის წინადადებაც მივიღო.

— დონეცკის „მეტალურგის" ვარიანტი საბოლოოდ ჩაიშალა?

— მათი წინადადება არასერიოზული იყო, თუმც საბოლოოდ არც ეს ვარიანტია გამორიცხული. ამიტომაც ვთქვი, ჯერ სრულ გაურკვევლობაში ვარ-მეთქი.

— „ვისლასთან" კარგად თამაშის შემთხვევაში ევებ გაცილებით უკეთესი წინადადებებიც მიიღო...

— „ვისლასთან" თამაში ძალიან მინდა. ჩემთვის სულ ერთი არაა, რას იზამს „ვიტ ჯორჯია", ვნახოთ, მერე რა იქნება.

**დავით ერაძე**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხიზანეიშვილი დამრტყმელად დანიშნეს

*რუსული პრემიერლიგის მე-17 ტურის ცენტრალური მატჩი შაბათს, 24 ივლისს გაიმართა. მოსკოვურ დერბიში „ლოკომოტივმა“ „დინამოს“ უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა. ქართველი ფეხბურთელებიდან სრულად მხოლოდ დინამოელმა ოთარ ხიზანეიშვილმა ითამაშა. ლოკომოტიველი ქართველებიდან მიხეილ აშვეთიამ 30 წუთი დაჰყო მოედანზე, მალხაზ ასათიანმა კი ტრავმის შემდეგ პირველად და მხოლოდ 10 წუთი ითამაშა. გუშინ ხიზანეიშვილს მოსკოვში შევეხმიანეთ და დედაქალაქურ დერბიზე ველაპარაკეთ*

— კარგი, სანახაობრივი თამაში გამოვიდა. მომენტებიც მრავლად იყო. პირველ ტაიმში მეტოქეს ვჯობდით და ის 45 წუთი მოვიგეთ კიდეც.

— ერთ ეპიზოდში ექიმთა დახმარება დაგჭირდა...

— თამაშამდე კუნთი მაწუხებდა. ეტყობა, დამეჭიმა. დღეს ნემსიც გავიკეთე, ხვალიდან კი ჩვეულებრივად ვივარჯიშებ.

— მეორე ტაიმში რა მოხდა ისეთი, რომ „ლოკომოტივმა“ თამაშიც შემოატრიალა და ორი გოლიც გაგიტანათ?

— ვერ ვიტყვი, რომ „ლოკომოტივმა“ დაგვჩაგრა და ამიტომ დაგვამარცხა. უბრალოდ, მარტივი საფეხბურთო კანონი ამოქმედდა — ვერ გაიტან, გაგიტანენ. ბესჩასტნიხს და ბულიკინს ასპროცენტიანი საგოლე შანსები ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

— „ლოკომოტივის“ ახალშენაძენ ბრაზილიელზე, ლიმაზე რას იტყვი?

— ითამაშა, რა. ალბათ მეტიც შეუძლია, მაგრამ გუშინ ვერაფრით გამოირჩა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ გააძევეს.

— სამაგიეროდ, თქვენმა ახალწვეულმა, ბესჩასტნიხმა გამოიჩინა თავი...

— ბესჩასტნიხი მართლაც კარგად მოერგო ჩვენს გუნდს, ეტყობა, რომ თავდასხმის გაძლიერება შეუძლია. როგორც ჩანს, ის არ იქნება ჩვენი ბოლო შენაძენი. როგორც ვიცი, ნახევარმცველების შეძენასაც აპირებენ, ისე, „ლოკომოტივმა“ სწორედ ნახევარდაცვის უფრო ეფექტური თამაშის ხარჯზე გვაჯობა.

— ლოკომოტიველმა ქართველებმა როგორ ითამაშეს?

— ასათიანმა ცოტა ხანი ითამაშა, ახალტრავმამოშუშებულია. აშვეთია კი კარგად შემოვიდა და „ლოკომ“ გამარჯვების გოლიც ამის შემდეგ გაიტანა.

— ჯარიმების დარტყმა შენთვის მოუნდვიათ...

— ვარჯიშებზე ყველაზე კარგად მე გამომდის და ალბათ თამაშშიც იმიტომ მენდობიან. დუბლებში თამაშისას ერთხელ ძალიან ლამაზი გოლი სწორედ საჯარიმო დარტყმით გავიტანე. ყველა მეუბნება, ყუმბარისებურად ურტყამო.

— იაროსლავ გჟებიკის წასვლის შემდეგ გუნდში რა ვითარებაა?

— ურთიერთობები დათბა, თამაშის მერე ყველა ერთად ვიკრიბებით და ვლაპარაკობთ. ბონდარენკომ მონდომებისთვის მადლობა გადაგვიხადა, მაგრამ გვითხრა, შედეგით უკმაყოფილო ვარო.

**დავით ერაძე**

# ზირაქიშვილი გაფრთხილებთ: შამქირში ცუდი მინდორია



**ახლახან გაუწყეთ, რომ ბაქოს „ხაზარში“, სადაც ექვსი ქართველი თამაშობს, მწვრთნელებად წარსულში სახელგანთქმულ უკრაინელ ფეხბურთელებს ეპატიჟებოდნენ. სწორედ ამის გამო დავუკავშირდით აზერბაიჯანში ხაზარელ ზაზა ზირაქიშვილს და უკრაინელი მწვრთნელის გარდა სხვა ამბებიც გამოვკითხეთ**

— „ხაზარს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — ჩვენ უკვე ანატოლი კონკოვი გვავარჯიშებს, მისი თანაშემწეც უკრაინელია, ხოლო ვლადიმირ ბესონოვი არ ჩამოვიდა. კონკოვმა სამი უკრაინელი ფეხბურთელიც ჩამოიყვანა. „ხაზარში“ ისინჯება ლევან მიქაძეც, ვინც ბოლოს უკრაინაში თამაშობდა.

— ერთი შეხედვით როგორი მწვრთნელის შთაბეჭდილებას ტოვებს კონკოვი?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ მიძნელდება, თუმც, ვფიქრობ, პრობლემები არ შემექმნება — ხაზარელებმა ორმხრივი მატჩი ვითამაშეთ და ორი გოლი გავიტანე.

— „თბილისის“ და „შამქარის“ დაპირისპირებაზე რას ამბობენ აზერბაიჯანში?

— თბილისური მატჩის წინ ყველას ეგონა, რომ „თბილისი“ დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა. „თბილისს“ დიდი რეკლამა ჰქონდა აზერბაიჯანში, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდად მოიხსენიებდნენ და მისგან „შამქარის“ დიდი ანგარიშით ძლევას ამიტომაც მოელოდნენ.

— შამქირში ხუთშაბათს ბევრი მაყურებელი მივა სტადიონზე?

— ალბათ. ისე კი, შამქირში მინდორი უხარისხოა — „შამქირს“ იქ ამხანაგურად ვეთამაშეთ 1:1, თუმც დიდი უპირატესობა გვქონდა.

**დავით თავართქილაძე**




# არ მინდა, ჩემი წამოსვლა უფულობას დაბრალდეს

*ქუთაისის „ტორპედოს“ 26 წლის მცველი* ***მიხეილ მახვილაძე*** *მე-16 ეროვნულ ჩემპიონატს თბილისურ „ლოკომოტივში“ გაატარებს. მახვილაძესთან რკინიგზელებმა ყველანაირი დეტალი შეათანხმეს და კონტრაქტსაც დღე-დღეზე გაუფორმებენ.*

*რატომ წამოვიდა იგი „ტორპედოდან“ და რატომ ირჩია „ლოკომოტივი“? ამის გასარკვევად გუშინ თავად მიხეილს შევეხმიანეთ...*

— კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია, მაგრამ ყველაფერი გადაწყვეტილია. შეგიძლიათ, „ლოკომოტივის“ ფეხბურთელად ჩამთვალოთ.

— რა იმედებით მიხვედი ახალ კლუბში?

— ძალიან მინდა, „ლოკომოტივთან“ ერთად რაიმე ტიტული მოვიგო. კარგი გუნდია, სიტუაციაც მომეწონა და მწვრთნელიც კარგი გვყავს. ასე რომ, მომავალ სეზონზე დიდი იმედებს ვამყარებ.

— „ტორპედოდან“ რატომ წამოხვედი?

— „ტორპედოში“ ხუთი წელი ვიყავი და ერთ ადგილზე ყოფნა მომწყინდა. მართალია, ქუთაისელი ვარ, მაგრამ მაინც ვარჩიე, გარემო შემეცვალა.

— თუ პირობები არ იყო მისაღები?

— ქუთაისი საფეხბურთო ქალაქია და იქ გუნდისთვის ნორმალური პირობების შექმნა არ გაუჭირდებათ. არ მინდა, ჩემი წამოსვლა უფულობას დაბრალდეს.

— „ლოკომოტივის“ გარდა სხვა ვარიანტებიც გქონდა?

— სხვათა შორის, საქართველოში დარჩენას საერთოდ არ ვაპირებდი. უცხოეთში მინდოდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ დავაგვიანე და გასინჯვებზე წინ და უკან სირბილს „ლოკომოტივში“ თამაში ვარჩიე.

— რომელ ქვეყანაში აპირებდი წასვლას?

— რუსეთს და უკრაინას მთავაზობდნენ, მაგრამ დროში ვერ ჩავეტიე. ამ ქვეყნებში ჩემპიონატები უკვე დაიწყო და ან ჰო ან არაზე წასვლას რა აზრი ჰქონდა...

— ახლა ქუთაისში „ტორპედოს“ წინააღმდეგ თამაში არ გაგიჭირდება?

— არა, რატომ უნდა გამიჭირდეს?! პირიქით, მშობლიურ მოედანზე სიამოვნებით ვითამაშებ.

— ესე იგი, ასეთი კომპლექსი არ გაწუხებს?

— არანაირად. ამას ყურადღებას არ ვაქცევ. ფეხბურთელი ვარ და, სადაც ჩემს გუნდს დასჭირდება, იქ ვითამაშებ. ისე, ქუთაისში სტადიონზე გასვლა ყოველთვის მიყვარდა და ახლაც ასე იქნება.

— „ლოკომოტივში“ რამდენი ხნით აპირებ დარჩენას?

— ერთი სეზონი აუცილებლად და მერე ვნახოთ.

**კახა შალამბერიძე**

# ცქიტიშვილის გუნდი ტაბებს

## ლევანს ლიდერობას უწინასწარმეტყველებენ

**ბუნდესლიგის** სამზადისში მყოფმა „ფრაიბურგმა“ „კაიზერსტულის“ ტრადიციულ ტურნირში იპირველა. ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა ჯერ „ბალინგერი“ დაამარცხეს 5:2, ხოლო ფინალში „ფიურტს“ გაუსწორდნენ იოლად 6:1.

ორივე შეხვედრა სრულად ითამაშა ლევან ცქიტიშვილმა და ფრაიბურგელთა თერთმეტი გოლიდან ოთხში წილიც დაიდო. ლევანმა სამი საგოლე პასი გააკეთა და ერთხელაც მისი დარტყმული ჯარიმის შემდეგ დამატებაზე კულიბალიმ იხეირა. „ცქიტიშვილი საუცხოო ფორმაშია, ის აშკარად გამოირჩეოდა თანაგუნდელებში. როგორც ჩანს, ახალი სეზონიდან გუნდის ლიდერობას ის ითავებს“ — ვკითხულობთ ტურნირის მიმოხილვაში „ფრაიბურგის“ ვებ-გვერდზე.

ალექსანდრე იაშვილმა ორივე შეხვედრაში ბოლო 30-30 წუთი ითამაშა და საგოლე კომბინაციაში ასისტენტად ერთხელ მოგვევლინა.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2004
## პერუ (6-25 ივლისი)

## მატჩი მესამე ადგილისთვის
# ურუგვაიმ პარეირასგან დაწუნებული მოიგო

**ურუგვაი 2:1 კოლუმბია**

1:0 ეშტოიანოფი (3), 1:1 ერერა (713), 2:1 სანჩესი (80)
ურუგვაი: ბარბატი, დიოგო, ბიზერა, ლაგო, გ. როდრიგესი, ხ. მარტინესი (გ. ვარელა 78), პოუსო, ვ. სანჩესი, პაროდი (ფორლანი 77), ეშტოიანოფი (მ. სოსა 59), რიჩარდ მორალესი
კოლუმბია: ენაო, გ. მარტინესი,ოროსკო, ა. გონსალესი, ვიქტორია, აგილარი, ვიაფარა, პატინო (კასტრილიონი 78), ე. მურილიო (მორანტესი 46), დ. ფერეირა (ე. პერეა 61), ს. ერერა
მსაჯი: რენე ორტუბე (ბოლივია)
30 000 მაყურებელი

კუსკოში, ზღვის დონიდან 3 500 მეტრ სიმაღლეზე, ურუგვაი და კოლუმბია ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დაიქანცნენ. ბრაზილიელთა თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ „კოპა ამერიკას" მსვლელობისას არაერთხელ თქვა ორგანიზატორთა გასაგონად, ამ ტურნირზე მესამე ადგილისთვის მატჩი უაზრობად მეჩვენება და თუ გააუქმებთ, კარგი იქნებაო.

პარეირას რჩევა ყურად არავინ იღო და მესამე ადგილისთვის მატჩიც გაიმართა.

ურუგვაელთა თავკაცმა ხორხე ფოსატიმ ბრაზილიასთან ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ შემადგენლობა საგრძნობლად გადაახალისა. დიეგო ფორლანი და გუსტავო ვარელა მეორე ტაიმის ბოლოს შევიდნენ შეცვლაზე, ხოლო დარიო სილვას და კარლოს ბუენოს საერთოდ არ უთამაშიათ.

კოლუმბია კი მოედანზე მოვალეობის მოხდის მიზნით გასულ გუნდს ჰგავდა.

ფოსატის შეგირდები პირველ ტაიმში აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ადრეული გოლით დაკმაყოფილდნენ. ფაბიან ეშტოიანოფმა ხუან კარლოს ენაოს მესამე წუთზევე გაუტანა, კოლუმბიელებს კი ლუის ბარბატი ერთხელაც არ შეუწუხებიათ.

ურუგვაელთაგან გამორჩეული იყო ვისენტე სანჩესი, რომელმაც მცველებს ბლომად თავსატეხი გაუჩინა, მაგრამ შესვენებამდე მაინც ვერ იხეირა.

შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულ კოლუმბიელ მორანტესს ჰქონდა კარგი მომენტი, თუმც ბურთი კარის ჩარჩოს ააცილა.

წინა „კოპა ამერიკას" მფლობელები მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, კონტრშეტევებსაც ახერხებდნენ და ერთ ეპიზოდში პენალტიც მოინაგრეს. ვიაფარას წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი საჯარიმო სერხიო ერერამ გამოიყენა და გაათანაბრა, მაგრამ ვისენტე სანჩესმა მოხდენილი დარტყმით მალე მეორე გაიტანა.

მატჩის მიწურულს გუნდები უჰაერობისგან დალასლასებდნენ და ურუგვაიმ საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ხორხე მარტინესმა კოლუმბიელ მცველს გადაუარა

# ინტერტოტოს თასი 2004

## მესამე ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი (გერმანია) | 1:2 | *გენკი (ბელგია)* (1:0) |
| დინამო (მინსკი, ბელარუსი) | 2:2 | *ლილი (საფრანგეთი)* (1:2) |
| *ესბიერგი (დანია)* | 4:0 | ვეტრა (ლიტვა) (1:1) |
| როდა (ჰოლანდია) | 1:1დ.დ.(1:0) | *ლიბერეცი (ჩეხეთი)* (0:1) |
| სპარტაკი (რუსეთი) | 2:2 | *ვილიარეალი (ესპანეთი)* (0:1) |
| ვარდარი (მაკედონია) | 1:2 | *შალკე (გერმანია)* (0:5) |
| *ოფკ (სერბეთი)* | 1:0 | ტამპერე (ფინეთი) (0:0) |
| ტრნავა (სლოვაკეთი) | 2:2 | *სლავენი (ხორვატია)* (0:0) |
| *ჰამბურგი (გერმანია)* | 3:1 | თუნი (შვეიცარია) (2:2) |
| კორკ სიტი (ირლანდია) | 1:1 | *ნანტი (საფრანგეთი)* (1:3) |
| *ატლეტიკო (ესპანეთი)* | 0:2 | ზლინი (ჩეხეთი) (4:2) |
| *ლეირია (პორტუგალია)* | 2:1 | შინიკი (რუსეთი) (4:1) |

## ნახევარფინალი. 28 ივლისი – 4 აგვისტო

| | |
|---|---|
| ესბიერგი — შალკე | ვილიარეალი — ჰამბურგი |
| ოფკ — ატლეტიკო | ლილი — სლავენი |
| გენკი — ლეირია | ლიბერეცი — ნანტი |



იგორ დე კამარგომ „დორტმუნდი" უევროპოდ დატოვა

# კამარგომ გენკს არგო
# რომეოს 2x2

დორტმუნდის „ბორუსიას" ახალი მწვრთნელისთვის სეზონი უიღბლოდ დაიწყო. ბერტ ვან მაარვიკის გუნდი ინტერტოტოდან უეფას თასზე გასვლას აპირებდა, მაგრამ „გენკმა" გზა გადაუღობა.

„ბორუსიას" სტუმრად პირველი მატჩი მოგებული (1:0) ჰქონდა და ბელგიელ მეტოქესთან გამკლავება შინაც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ იგორ დე კამარგოს წყვილმა გოლმა „შავ-ყვითლები" ინტერტოტოდან დაიფრინა.

დე კამარგომ ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, დედემ გაქვითა, თუმც შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე სტუმართა ფორვარდმა მეორედ იხეირა. მასპინძლებს ამის შემდეგ აჰმედ მადუნი გაუძევეს და „ბორუსიას" ევროსეზონიც ამით დასრულდა.

ნამატჩევს ბერტ ვან მაარვიკმა თქვა: „ვაღიარებ, „გენკმა" გამარჯვება დაიმსახურა. ცხადია, ძალიან ნაწყენი ვარ, მაგრამ ახლა ორი კვირა გვაქვს საამისოდ, რომ ბუნდესლიგას მომზადებულნი შევხვდეთ".

მეორე გერმანულმა გუნდმა „შალკემ" ერთი კვირის წინ დაწყებული საქმე მაკედონიაში ბოლომდე მშვიდად მიიყვანა. სკოპიეს „ვარდარს" სტუმრებმა ორი გოლი მალევე გაუტანეს. კრისტიან პანდერის და ებე სანდის გოლებით დაწინაურებულმა „ხუმარებმა" მატჩის ბოლოს ვანდაირისგან ერთი საპასუხო მიიღეს.

შვეიცარიულმა „თუნმა" „ვოლფსბურგი" დაიფრინა ინტერტოტოდან, მაგრამ მომდევნო გერმანული ბარიერი — „ჰამბურგი" — ვეღარ გადალახა, ჰამბურგელთა ფორვარდ ბერნარდო რომეოს შემჩერებელი „თუნში" არავინ აღმოჩნდა.




ჰამბურგელმა ბერნარდო რომეომ შვეიცარიელებს შინაც და სტუმრად წყვილად გაუტანა

რომეომ პირველ შეხვედრაშიც დუბლი შეასრულა და შინაც წყვილი გოლი გაუტანა შვეიცარიელებს, ერთი კი ემილ მპენზამ მიითვალა.

მინსკის „დინამო" ორჯერ უგებდა „ლილს", მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. ანდრეი რაზინის ორ გოლს მეტ მუსილიუმ ორჯერ უპასუხა და ფრანგები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

„ესბიერგის" ფორვარდმა ფრედრიკ ბერგლუნდმა ლიტვურ „ვეტრასთან" შეხვედრაში ბენეფისი მოიწყო. მას 36 წუთი დასჭირდა ჰეთ თრიქის შესასრულებლად, მეოთხე კი მასპინძელმა ტოსუპმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეაგდო და ვეტრელებს ხასიათი საბოლოოდ წაუხდინა.

კერკრადეს „როდას" კრისტიანომ გუნდი მეექვსე წუთზევე დააწინაურა, მაგრამ დამხვდურებმა ჩეხურ „ლიბერეცს" მეტი ვერ გაუტანეს. ორი მატჩის ჯამში ფრე გამოვიდა, ხოლო დამატებითი დროის პირველ ტაიმში სტუმარმა ფილიპ ჰოლოშკომ გადამწყვეტი გოლი შეაგდო და „ლიბერეცს" მოაგებინა.

მადრიდის „ატლეტიკომ" „ზლინთან" ბეწვის ხიდზე იარა. ჩეხებმა შინ 2:4 მარცხის შემდეგ სტუმრად კინაღამ სასწაული გამოაცხვეს. პირველ ტაიმში მალარის, მეორეში კი კროას გოლს კიდევ ერთი, მესამეც სჭირდებოდა, რომ მადრიდელები გავარდნილიყვნენ, მაგრამ „ატლეტიკომ" სტუმრად გატანილი ოთხის წყალობით მომდევნო ეტაპზე გააღწია.

მოსკოვის „სპარტაკმა" „ვილიარეალთან" ფრედ ითამაშა და გზა ესპანელებს დაუთმო, რომლებმაც შარშან ინტერტოტოდან დაიწყეს და უეფას თასის ნახევარფინალამდე იარეს.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბენზინგასამართ სადგურზე

## მანჩინის ავზის შესავსებად სეზარი და მიხაილოვიჩი სჭირდება

*„ინტერის" თავკაცი რობერტო მანჩინი ამბობს, რომ გუნდის სრულყოფილად დაბალანსებისთვის ორი დეტალი აკლია. მოგეხსენებათ, „შავლურჯები" სატრანსფერო ბაზარზე ძალიან აქტიურები იყვნენ და თუ ამ ზაფხულს ვინმემ იყიდა ფეხბურთელი, ეს „ინტერია", მაგრამ მანჩო ვერ ისვენებს და თავისი ყოფილი გუნდისთვის, „ლაციოსთვის" ორი მოთამაშის, სეზარის და სინიშა მიხაილოვიჩის გამორთმევას ცდილობს*



„ინტერი" ძალიან კარგად აეწყო, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ რაღაც გვაკლია, კერძოდ, მარცხენა მხარეს, ოღონდ მთელ ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელი — განაცხადა ახალგაზრდა მწვრთნელმა — სეზარი დიახაც გვაინტერესებს და ეს ძალიან ნორმალური ამბავია, რადგან იმ როლზე, რომელიც ზევით აღვწერე, კარგი ფეხბურთელი ცოტაა".

მაგრამ სეზარის ამბავი ჯერ კიდევ გასარკვევია, აი, რაც შეეხება მცველ სინიშა მიხაილოვიჩს, როგორც ამბობენ, ყველაფერი დროის ამბავილაა და მეტი არაფერი.

„სინიშა მისი მონაცემებიდან გამომდინარე ძალიან გამოსადეგი ფეხბურთელია— განაგრძობს მანჩინი — მას დიდი ოსტატობა და მებრძოლი ხასიათი უმაგრებს ზურგს.



ჩინელთა რბევა დეიან სტანკოვიჩმა დაიწყო

მე მისგან 50 თამაშში მონაწილეობას არ ველი, მაგრამ იმ შეხვედრებში, რომლებშიც გამოვა, მჯერა, ძალიან დიდ როლს ითამაშებს".

„ინტერი" ბოლო ორი კვირაა, რაც ვარჯიშს შეუდგა და მწვრთნელი ძალიან კმაყოფილია იმით, რაც ნახა:

„აქამდე ყველაფერი კარგად მიდის. ზოგი ფეხბურთელი საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ როდესაც ფორმაში შევლენ, როგორ ფეხბურთსაც შემოგვთავაზებენ, უკვე ნათელია".

და, რასაკვირველია, ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი და სერიოზული შენამატი არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონია.

„მე მას ადრეც ძალიან კარგად ვიცნობდი და მისი ჩამოსვლა დიდად გამოსადეგი რომ იქნებოდა, ეჭვიც არ შემპარვია. ვერონი ის ფეხბურთელია, რომელთან დაკავშირებით რაიმეს კითხვა არ შეიძლება" — დასძინა მანჩომ.

ხოლო „ინტერის" კიდევ ერთი, ოღონდ, ალბათ უფრო უმნიშვნელო მიზანი, ბრაზილიელი ზე მარია ამბობს, რომ ეს სატრანსფერო სეზონიც თუ გააცდინა, შესაძლოა, დიდ გუნდში ველარასოდეს მოხვდეს.

„31 წლის ასაკში „ინტერში" გადასვლა ნამდვილად ძალიან დიდი და ბოლო შანსი იქნებოდა — თქვა პერუჯელმა, რომლის სატრანსფერო თანხაც ჯერ ვაჭრობის საგანია — ჩემთვის გასაგებია, რომ „პერუჯას" ფული სჭირდება და ამიტომაც ვერა და ვერ ხერხდება ტრანსფერის მოგვარება, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ „პერუჯაში" დავრჩები, თავს ბედნიერად ვიგრძნობ და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა გუნდი სერია A-ში დავაბრუნო".

შეგახსენებთ, რომ ზე მარია „პერუჯაზე" ადრე „პარმაში" გამოდიოდა. იგი შემტევი მარჯვენა მცველი გახლავთ. სხვათა შორის, თავიდან, როდესაც „პერუჯასა" და „ინტერს" შორის მის თაობაზე მოლაპარაკებები გაიმართა, ყველას ეგონა, რომ მხარეები მალე მორიგდებოდნენ, მაგრამ როგორც ნახეთ, შემდეგ გაირკვა, რომ საქმე არც მთლად მარტივად არის.

ახლა კი „ინტერის" ამხანაგურ თამაშებზე: „შავ-ლურჯებმა" იოლად დაამარცხეს „შანხაი" 4:0, თან უნდა ითქვას, რომ მანჩინიმ საკმაოდ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი არ ათამაშა.

„ბოლოხანს ჩემს ბიჭებს ბევრი არ უთამაშიათ, მაგრამ ასეთ პირობებშიც შევამჩნიე ბევრი საიმედო რამ — თქვა მწვრთნელმა — თამაშის წინ ბიჭებს ვესაუბრე და ვთხოვე, ბურთი იმდენჯერ გადაეწოდებინათ ყოველ ეპიზოდში ერთმანეთისთვის, რამდენჯერაც შესაძლებელი იქნებოდა".

ანგარიში დეიან სტანკოვიჩის პასით ემრემ გახსნა. მან თავური შეაგდო. შემდეგ ორი გოლი არგენტინელმა ხულიო კრუზმა შეაგდო — ერთი პენალტით — ხოლო მეორე ტაიმში ნიკოლა ვენტოლამ მეოთხედაც გაუტანა ჩინელებს.

„ასეთ შეხვედრებს წასაგებად არავინ მართავს, მაგრამ მთავარი მაინც გამარჯვება კი არა, ავზში ბენზინის ჩასხმაა" — დაასკვნა მანჩომ.

**პაპუნა ქედია**

# კაპელომ ქალბატონი გამოასწორა

## იუვემ და იებმა მარესკა შუაზე გაიყვეს

*ფაბიო კაპელოს „იუვენტუსი" სწორ გზაზე ჩანს შემდგარი — „პარი სენ ჟერმენს" 1:0 მოუგო. გოლი მე-20 წუთზე მარსელო ზალაიეტამ გაიტანა. მას ჩინებული ასისტენტობა გაუწია მარცხენაფლანგელმა ჯანლუკა ძამბროტამ*



„ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ვითამაშეთ გუნდთან, რომელიც მომზადებით ჩვენზე წინ არის, — განაცხადა კაპელომ — თითოეულმა იუვენტუსელმა კარგად გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობა, ჯამში ასეთი სურათი გვქონდა: მეტოქეს ცოტა რამ შევაქმნევინეთ, ხოლო ჩვენ თავად შევქმენით სახიფათო მომენტები. ერთი სიტყვით, როგორც ფიზიკური, ასევე ტაქტიკური თვალსაზრისით, ძლიერი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

ცხადია, ყველაზე სრულყოფილად ჩემს გუნდს მაშინ შევაფასებ, როდესაც ფეხბურთელები ფორმაში მეყოლება, მაგრამ პროგრესი, რომლითაც წინ მივიწევთ, მაკმაყოფილებს".

როგორც ჟურნალისტები ამბობენ, „იუვენტუსში" ყველაზე მტკიცედ დაცვა იდგა. განსაკუთრებით ნიკოლა ლეგროტალიემ და ჯონათან ძებინამ გამოიჩინეს თავი. შეტევაში ფაბრიციო მიკოლი თამაშობდა სახიფათოდ.

ხოლო ენცო მარესკა „ფიორენტინაში" გადავიდა და, ბუნებრივია, „ბებერი ქალბატონის" სახელით ველარ ითამაშებდა.

„მე სატრანსფერო ბაზარზე არ ვმუშაობ და ამაში ფულს არ მიხდიან — განაცხადა ამასთან დაკავშირებით „იუვეს" თავკაცმა — ჩვენ განსაკუთრებული გუნდის შექმნა ჩავიფიქრეთ და იმედი მაქვს, რომ მიზანს მივაღწევთ."

ხოლო 24 წლის, „იუვეს" ნაირ შემადგენლობაში ვერა და ვერ ჩასმული მარეკა, როგორც მოგახსენეთ, „ფიორენტინაში" გადავიდა და 2008 წლამდე მოუწერა კონტრაქტზე ხელი. აღსანიშნავია, რომ ამიერიდან ტურინელები და ტოსკანიელები მარესკას სანახევროდ პატრონობენ.

თანხა, რომელიც ამ საქმეში „იებმა" „შავ-თეთრებს" გადაუხადეს, ოფიციალურად არ გაცხადებულა, მაგრამ ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ 3 მილიონ ევროზეა ლაპარაკი.

ეს, რაც შეეხებოდა „იუვენტუსის" გაყიდულ ფეხბურთელებს, ახლა კი ნაყიდებზე ვთქვათ: ამბობენ, რომ „ბებერი ქალბატონი" „ინტერს" აპარესიდო როდრიგეს სეზარის ყიდვაში სჯობნისო. ეს აპარესიდო როდრიგეს სეზარი სწორედ ის სეზარია, რომელსაც „ლაციოში" თამაშით ვიცნობთ და ჩვეულებრივად მხოლოდ სეზარს ვეძახით. მოგეხსენებათ, „ლაციოში" ტურინელებს მხოლოდ სეზარი კი არა, მასიმო ოდოც აინტერესებთ.

ორიოდ დღის წინ „იუვენტუსის" ადმინისტრატორი ანტონიო ჯირაუდო „ლაციოს" ახალ პრეზიდენტს, კლაუდიო ლოტიტოს შეხვდა და სწორედ საბაზრო საკითხებზე ელაპარაკა. ამბობენ, რომ „იუვენტუსი" მზარ არის ხსენებული ორი ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო და ჩამოთვლილთაგან რომელიმე, მატეო ბრიგი, ჯორჯო კიელინი ან რუბენ ოლივეირა გადაიხადოს. იმასაც ამბობენ, რომ შეჭირვებული რომაელები ამ წინადადებას სიამოვნებით დათანხმდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ „ინტერს" შეუძლიათ დაელოდონ.

აღსანიშნავია, რომ 29 წლის სეზარით ტურინელები მას მერე დაინტერესდნენ, როდესაც შეიტყვეს, რომ „უდინეზედან" ჩეხი მარეკ იანკულოვსკის გადმოყვანა პრობლემებთან არის დაკავშირებული.

აღსანიშნავია, რომ კაპელოს სეზარი ჯერ კიდევ „რომაში" უნდოდა.

პაპუნა ქედია



მარსელო ზალაიეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კისერზე გაწევთ, დაგვითმეთ კლაუდიო

## ინძაგის კოჭებში ეტყობა, ლოპესი შეცვლის

*მოგეხსენებათ, „მილანს“ ოთხი თავდამსხმელიდან ერთ-ერთი, ფილიპო ინძაგი დაშავებული ჰყავს, ამიტომაც მან შეიძლება „ლაციოს“ კლაუდიო ლოპესი სთხოვოს*

შეგახსენებთ, ინძაგი კოჭნატკენია და ექვსი კვირა უნდა გამოტოვოს. მართალია, ძალიან კარგია ის, რომ ადრე „იუვენტუსში“ ნათამაშები „სკუადრა ატურას“ ფორვარდი სამ თვეში მეორე ოპერაციას გადარჩა, მაგრამ „შავ-წითლებს“, როგორც ჩანს, სამი თავდამსხმელით ყოფნა (თუნდაც ეს თავდამსხმელები ერნან კრესპო, ანდრეი შევჩენკო და იონ დალ ტომასონი იყვნენ) სექტემბრის შუამდეც აღარ უნდათ.

აღსანიშნავია, რომ „ლაციო“ კლაუდიოს გაყიდვის წინააღმდეგი წესით არ უნდა იყოს. საქმე ის არის, რომ არგენტინელი წელიწადში არც მეტი, არც ნაკლები, 1,4 მილიონი ინგლისური გირვანქის ტოლ ხელფასს იღებს, რაც შეჭირვებულ რომაელთათვის მეტისმეტია.

მეორე მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებით ვერაფერი გაირკვევა, სანამ „ლაციოს“ ახალ მწვრთნელს არ დაუნიშნავენ.

საკუთრივ ინძაგის კი ეჭვი არ ეპარება, რომ მისი კოჭის პრობლემა სულ მალე გადაწყდება და ერთხელ და სამუდამოდ მოისვენებს.

„ჩემს ფიზიკურ მდგომარეობაზე არ ვდარდობ — განაცხადა ფორვარდმა — ვიცი, რომ სერიოზული არაფერია და თუ უნდა მკურნალობამ მოსალოდნელზე მეტხანსაც გასტანოს. ცხადია, ყველა ტესტს და მკურნალობას ჩავიტარებ, თუმცა მწამს, რომ მალე გამოვჯანმრთელდები. მინდა აღვნიშნო, რომ ის მხარდაჭერა, რომელიც ჩემმა კლუბმა, თანაგუნდელებმა და ქომაგებმა გამიწიეს, საგანგებო იყო. ასეთი გვერდით დგომა, რასაკვირველია, გამოჯანმრთელებაში დამეხმარება, რადგან თავს საჭირო ადამიანად და კლუბის ნაწილად ვგრძნობ.

რაც შეეხება გუნდს, ეჭვი არ მეპარება, რომ სეზონს ძლიერად დავიწყებთ. ამაში, სხვათა შორის, არც წინა წლებში მეპარებოდა ეჭვი. ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს, რომელიც ამ ზაფხულს კიდევ უფრო გაძლიერდა.

გარდა ამისა, ბოლო ხანს ჩვენს საწვრთნელ ცენტრში დიდებულ ატმოსფეროსაც ვგრძნობთ. მოკლედ, ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები საქმეში“.

რაც შეეხება თავად „ლაციოს“ სატრანსფერო აქტიურობას, როგორც ცნობილი გახდა, რომაელებს სერია B-ს გუნდ „ტერნანასგან“ ჩილელი ნახევარმცველის, ლუის ხიმენესის ყიდვა უნდა. აღსანიშნავია, რომ ხიმენესის შეძენა „ბრეშას“ და „ფიორენტინასაც“ სურთ.






გასულ სეზონში, „ტერნანას“ შემადგენლობაში ჩილელმა 34 თამაშში 9 გოლი გაიტანა. როგორც ჟურნალისტებმა შეიტყვეს, სერია B-ს გუნდი მასში თითქმის 6 მილიონ ევროს მოითხოვს, ხოლო „ლაციო“ 2,5 მილიონს და სანახევრო მფლობელობას შესთავაზებს.

**პაპუნა ძედია**

# მაგრძნობინეთ თავი მნიშვნელოვან კაცად!

## დი ვაიოს ვალენსია რანიერიმ მოაწონა




„ვალენსიას“ ახალი შენაძენი, იტალიელი მარკო დი ვაიო ამბობს, რომ „იუვენტუსიდან“ თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ წავიდა. და კიდევ, ესპანეთში გადასვლაზე თანხმობა საბოლოოდ „ვალენსიას“ მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის გამო უთქვამს.

შეგახსენებთ: „ვალენსიამ“ „იუვენტუსს“ წინა კვირაში 10 მილიონი ევრო გადაუხადა და დი ვაიო იყიდა.

„ჩემი გაშვება არც მთლად „იუვესთვის“ გამოვიდა საუკეთესო ვარიანტი, ტურინში ხომ ჩემი მოთხოვნებიც გაითვალისწინეს და ამისთვის მადლობას ვუძღვნი მათ. იცით, 28 წლის ვარ და ამ ასაკში მჭირდება თავი მნიშვნელოვან ფიგურად ვიგრძნო — განუცხადა დი ვაიომ იტალიურ „კორიერე დელო სპორტს“ — „ვალენსია“ მწვრთნელის გამო ავირჩიე და იმ თანხისთვის, რომელიც მათ ჩემში გადაიხადეს. იქ დიდ გუნდში მოვხვდები. ვაპირებ ესპანეთის ჩემპიონი გავხდე და ჩემპიონთა ლიგაში გამოვიჩინო თავი.

გარდა ამისა, „ვალენსიაში“ სამი იტალიელი თანაგუნდელი მეყოლება: ფიორე, კორადი და მორეტი, რაც იქ ცხოვრებას გამიადვილებს.

ვიცი, რანიერის თავად უნდოდა ჩემი ყიდვა და მის ხელში მეორე ფორვარდად ვითამაშებ. ერთი სიტყვით, „ვალენსიაში“ აიმარის კონკურენტი ვიქნები და ეს მაწყობს. მე არ მინდა მაინცდამაინც პირველობა, უბრალოდ ყველანი ერთნაირად უნდა გავნიხილებოდეთ.

„იუვეში“ ერთ ადგილზე სამი კაცი მოდიოდა და ორი მათგანი იმდენად მნიშვნელოვანი მოთამაშე იყო, რომ ნაკრებში იწვევდნენ“.

შემდეგ დი ვაიომ თქვა, რომ სანამ „იუვენტუსი“ „ინტერისგან“ კრისტიან ვიერის ყიდულობდა, მას, როგორც ამ სატრანსფერო ოპერაციის მონაწილეს, მილანში გადაბარგებამდე თითქმის აღარაფერი უკლდა.

„ვიცი, ყველაფერი მოგვარებული იყო, ვიერიში ვიცვლებოდი, მაგრამ ბოლოს კლუბები ვერ შეთანხმდნენ. ჩემზე რომ იწყებოდა საუბარი, „იუვე“ იმთავითვე ფულის მოგებაზე გადადიოდა“.

**პაპუნა ძედია**

# სვენი არ ისვენებს

## ასოციაციამ გამოიძია: ერიქსონმა პელიოსს ფერია გაუბახა

*ინგლისის ნაკრების მწვრთნელს, სვენ გორან ერიქსონს ახლა ფეხბურთის ასოციაციის მდივან ფერია ელამთან გაუბამს რომანი — იფ!*

ქალბატონი ფერია ელამი (ბადასარევია!) 38 წლისა გახლავთ. როდესაც მას ჟურნალისტები მიეჭრნენ, არიქა, 56 წლის შვედი მართლა თუ გყვარობთო, შორს დაიჭირა, არაო, ფეხბურთის ასოციაციამ კი მას მერე ორი ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა. გავეცნოთ მეორეს ტექსტს:

„ამ კვირის დასაწყისში ფეხბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ ფერია ელამი (აუ, რა პარგია!) სვენ გორან ერიქსონთან სექსუალურ ურთიერთობას უარყოფს. მას შემდეგ წარმოგვიდგინეს ახალი მტკიცებულება (საოცრებაა!) ელფოსტის სახით, რომელიც მის ელამს მეგობრისთვის გაუგზავნია და მათთვის გაუმხელია ერიქსონთან ურთიერთობა მაკავშირებსო. გაარღმავა რა ძიება ასოციაციამ (ბრავო! ბრავო!) გამოიკვლია, რომ ურთიერთობა მართლაც არსებობს.

გარდა ამისა, ფეხბურთის ასოციაცია ადასტურებს, რომ ბანგლადეშური წარმოშობის ელამთან ურთიერთობა ჰქონდა აღმასრულებელ შეფს, ერიქსონის უშუალო ხელმძღვანელს ასოციაციაში, მარკ პელიოსს.

ვადასტურებთ აღმასრულებელი შეფის, მარკ პელიოსის პატივისცემას და მიგვაჩნია, რომ ეს პირადი ისტორიაა, მაგრამ ვნახეთ რა მის ელამის წერილები და გავაღრმავეთ რა გამოძიება, დავრწმუნდით, რომ რაც მოხდა ძალიან ხანმოკლე (ანუ ერთხელ?) ამბავი იყო“.

შეგახსენებთ, რომ სვენ გორან ერიქსონის საყვარული იტალიელ პარტნიორ ნენსი დელოლიოსთან ერთი



ხნის წინ შვედ ტელეწამყვან ულრიკა იონსონთან გამჟღავნებულ თავგადასავალს გადაურჩა, ახლა კი, როგორც ბრიტანული მედია იუწყება, ნენსი სვენის მიტოვებას აპირებსო.

**ირაკლი ძუტუგიძე**



*იურგენ კლისმანი გუშინწინ ოჯახითურთ ფრანკფურტში ჩაფრინდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი და კლინსმანი შაბათს საღამოსვე შტუტგარტში გაემგზავრნენ და რამდენიმე საათი ისაუბრეს*





# რა დროს ქორწილი იყო

## კლინსმანის ხელმოწერა ოსიეკის შვილის ჯვრისწერამ გადადო



ჰოლგერ ოსიეკი

**გერმანული** მედიის ცნობით, კონტრაქტი ამ უქმეებზე უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ ეს საქმე გადაიდო. კავშირის წევრები, იურგენ კლინსმანი, ოლივერ ბირჰოფი და ჰოლგერ ოსიეკი პარასკევს შეიკრიბებიან და საბოლოოდ ყველაფერი მაშინ გაირკვევა.

საქმე ისაა, რომ ჰოლგერ ოსიეკს კანადაში შვილი დაუქორწინებია და ამიტომ ვერ ჩამოსულა გერმანიაში. მას ზეგისთვის ელოდებიან და სამეული რომ შეიკრიბება, კავშირის პრეზიდენტ მაიერ-ფორფელდერთან მერელა ისაუბრებენ.

ჯერ კვლავაც ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატმა კი თქვა, გერმანული ფეხბურთი არც ისე დაჩაჩანაკებულია, როგორც ევროპის ჩემპიონატზე ჩანდაო. „მხოლოდ მსოფლის 2006 წლის ჩემპიონატზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობაში ძირეული ცვლილებების დაწყებაა საჭირო“ — განაცხადა კლინსმანმა,

გამორიცხული არაა, მისი მოთხოვნით სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებთა მწვრთნელები შეცვალონ. „ბილდის“ ცნობით, 21-წლამდელთა ნაკრების თვკაცად, შტილიკეს ნაცვლად შესაძლოა, რალფ რანგნიკი დანიშნონ.

კლინსმანისეული ბუნდესნაკრები ყველაზე ძვირი იქნება და 10 მილიონ ევროს „ჩაყლაპავს“.

10-დან ხუთი კლინსმანს ერგება, მაგრამ ამ ხუთიდან ნაწილი ნაკრებში მიწვეულ სხვადასხვა სპეციალისტებზე შეიძლება დაიხარჯოს.

3 მილიონი მენეჯერ ოლივერ ბირჰოფს ეკუთვნის, ორი კი ჰოლგერ ოსიეკს.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ბრაზილია

**სერია A. XVIII ტური**

კურიტიბა — ბოტაფოგო 1:0; კრისიუმა — ატლ. პარანენსე 4:1; ფლუმინენსე — კორინთიანსი 2:0; ინტერნასიონალი — ჟუვენტუდე 1:2; სან პაულუ — ვასკუ და გამა 1:0; ვიტორია — გუარანი 3:2; კრუზეირო — სან კაეტანო 0:1; ფლამენგო — ატლ. მინეირო 0:0; გოიასი — სანტოსი 3:3; პალმეირასი — ფიგეირენსე 0:0; პარანა — პაისანდუ 2:0; პონტე პრეტა — გრემიო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 18 | 10 | 2 | 6 | 37:28 | 32 |
| პონტე პრეტა | 18 | 10 | 2 | 6 | 18:21 | 32 |
| პალმეირასი | 18 | 8 | 7 | 3 | 30:13 | 31 |
| სან პაულუ | 18 | 9 | 4 | 5 | 23:18 | 31 |
| გოიასი | 18 | 8 | 6 | 4 | 34:30 | 30 |
| ჟუვენტუდე | 18 | 9 | 3 | 6 | 24:22 | 30 |
| ფიგეირენსე | 18 | 7 | 8 | 3 | 23:14 | 29 |
| ატლ. პარანენსე | 18 | 8 | 3 | 7 | 30:25 | 27 |
| ინტერნასიონალი | 18 | 8 | 3 | 7 | 26:21 | 27 |
| ფლუმინენსე | 18 | 7 | 6 | 5 | 22:23 | 27 |
| კრუზეირო | 18 | 8 | 3 | 7 | 25:27 | 27 |
| სან კაეტანო | 18 | 7 | 5 | 6 | 20:15 | 26 |
| ვიტორია | 18 | 7 | 4 | 7 | 33:27 | 25 |
| კრისიუმა | 18 | 7 | 4 | 7 | 30:30 | 25 |
| ვასკუ და გამა | 18 | 6 | 5 | 7 | 28:24 | 23 |
| კორინთიანსი | 18 | 5 | 6 | 7 | 17:30 | 21 |
| პარანა | 18 | 5 | 5 | 8 | 16:27 | 20 |
| გრემიო | 18 | 4 | 6 | 8 | 25:28 | 18 |
| ატლ. მინეირო | 18 | 3 | 9 | 6 | 20:26 | 18 |
| კურიტიბა | 18 | 5 | 8 | 5 | 18:17 | 17 |
| პაისანდუ | 18 | 4 | 5 | 9 | 22:30 | 17 |
| ფლამენგო | 18 | 3 | 7 | 8 | 17:24 | 16 |
| ბოტაფოგო | 18 | 3 | 7 | 8 | 23:31 | 16 |
| გუარანი | 18 | 4 | 4 | 10 | 15:25 | 16 |

### შვედეთი

**ალსვენსკა. XIII ტური**

მალმიო — ჰალმსტადი 2:1; იურგორდენი — იორებრო 5:1; კალმარი — ელფსბორგი 0:1; სუნდსვალი — ტრელებორგი 1:0. გიოტებორგი — ლანდსკრონა და ჰელსინგბორგი — აიკ *დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 13 | 7 | 5 | 1 | 20:6 | 26 |
| ჰამარბი | 12 | 8 | 2 | 2 | 15:7 | 26 |
| ჰალმსტადი | 12 | 7 | 3 | 2 | 27:15 | 24 |
| კალმარი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 3 | 4 | 12:9 | 18 |
| იურგორდენი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:21 | 16 |
| სუნდსვალი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:13 | 15 |
| აიკ | 12 | 3 | 4 | 5 | 9:12 | 13 |
| იორგრიტე | 13 | 2 | 7 | 4 | 13:17 | 13 |
| ელფსბორგი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:15 | 13 |
| იორებრო | 13 | 3 | 4 | 6 | 16:29 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 2 | 5 | 5 | 20:18 | 11 |
| ლანდსკრონა | 12 | 2 | 5 | 5 | 12:16 | 11 |
| ტრელებორგი | 12 | 2 | 3 | 7 | 8:19 | 9 |

**სუპერეტა. XV ტური**

ენჩიოპინგი — ფალკენბერგი 2:0; ბოდენსი — გაის 1:1; ასირისკა — კაფე ოპერა 1:4; ატვიდაბერგი — ფრიოლუნდა 3:2; ბრაგე — ვასტერასი 1:2; ბრომაპოიკარნა — იოსტერსი 1:3; გეფლე — ნორჩიოპინგი 4:1; ჰეკენი — ფრისკა 3:1

### ამხანაგური მატჩები

სელტიკი — ჩელსი 2:4; პსჟ — იუვენტუსი 0:1; ბრიუგე — ოსერი 3:1; ლიონი — ვერდერი 3:3; სტანდარდი — ლანსი 1:2; გრაცერი — არსენალი 1:2; ფულემი — რეინჯერსი 0:1; შანხაი შენხუა — ინტერი 0:4; ლენიანო — მილანი 0:5; გუანგჯუ — ჩარლტონი 1:1; კიოლნი — ფენერბაჩე 2:2

### შვეიცარია

**სუპერლიგა. II ტური**

**ბაზელი 1:1 ქსამაქსი**

1:0 სმილიანიჩი (21), 1:1 მარკოირუცი (80)

**სერვეტი 2:2 გრასჰოპერი**

1:0 კადერი (7), 2:0 მერინო (8), 2:1 დ. ტურე (56), 2:2 როჟერიო (68)

**იანგ ბოისი 6:1 შაფჰაუზენი**

1:0 ფ. ნერი (11), 2:0 როშა (25), 3:0, 4:0 შაპუიზა (33, 39), 5:0 ფ. ნერი (49), 5:1 ტოდისკო (63), 6:1 კარენიო (85)

**აარაუ — თუნი**

*27 ივლისს გაიმართება*

**ციურიხი — სენტ გალენი**

*27 ივლისს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:1 | 4 |
| იანგ ბოისი | 2 | 1 | 1 | 0 | 9:4 | 4 |
| თუნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ქსამაქსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სენტ გალენი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| ციურიხი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სერვეტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| შაფჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:7 | 1 |
| აარაუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. XVI ტური**

იარო — ჰაამენლინა 1:1; ჰიკ — კტპ 3:2; მიუპა — ლაჰტი 0:0; ტპ-47 — ჯაზი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 16 | 10 | 4 | 2 | 30:9 | 34 |
| ინტერი | 14 | 8 | 2 | 4 | 31:20 | 26 |
| ჰიკ | 16 | 6 | 8 | 2 | 26:17 | 26 |
| ტურკუ | 15 | 8 | 2 | 5 | 25:20 | 26 |
| ტამპერე | 13 | 7 | 3 | 3 | 18:10 | 24 |
| ალიანსი | 14 | 7 | 3 | 4 | 18:15 | 24 |
| კტპ | 16 | 6 | 5 | 5 | 23:20 | 23 |
| ტპ 47 | 15 | 6 | 3 | 6 | 22:20 | 21 |
| ლაჰტი | 16 | 4 | 8 | 4 | 19:22 | 20 |
| ჯაზი | 14 | 4 | 4 | 6 | 22:24 | 16 |
| მიუპა | 13 | 4 | 4 | 5 | 13:18 | 16 |
| როვანიემი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:33 | 12 |
| იარო | 16 | 3 | 2 | 11 | 16:33 | 11 |
| ჰამენლინა | 16 | 1 | 5 | 10 | 17:34 | 8 |

### ხორვატია

**ნაციონალლიგა. I ტური**

ზაგრები — ინტერი 0:1; მედიმურიე — რიეკა 1:2; კამენი — ვარტექსი 3:2; ჰაიდუკი — პულა 1:1; სლავენი — ოსიეკი 1:2; ზადარი — დინამო 3:4

### დანია

**სუპერლიგა. I ტური**

სილკებორგი — კოპენჰაგენი 2:2; ოლბორგი — მიდტიულანდი 1:2; ნორდსიელანდი — ორჰუსი 2:2; ჰერფიოლგე — ვიბორგი 0:0; ბრონდბიუ — ოდენსე 1:2

### ავსტრია

**I დივიზიონი. I ტური**

ალტახი — ლინცერი 2:1; გრატკორნი — კაპფენბერგი 0:0; უნტერზიბენბრიუნი — ვიორგლი 0:2; ლეობენი — კერნტენი 2:0; რიდი — აუსტრია (ლ) 1:4

### სლოვაკეთი

**I ლიგა. I ტური**

ბანსკა ბისტრიცა — ტრენჩინი 2:1; დუბნიცა — პუხოვი 2:0; პეტრჟალკა — ინტერი 2:1; სობოტა — რუჟომბეროკი 2:0

### აშშ

**MLS. XVII ტური**

კოლორადო — კოლამბუსი 0:0; ნიუ იორკი — ჩიკაგო 2:1; დალასი — ვაშინგტონი 5:1; კანზასი — ლოს ანჯელესი 2:2; სან ხოსე — ნიუ ინგლენდი 2:2

# მარსელი კოლერს ვერ შეხვდა



„მარსელი“ ჩეხ ფორვარდს, იან კოლერს ვერ ყიდულობს — მოგეხსენებათ, დორტმუნდის „ბორუსიას“ გოლიათი კოლერი ფრანგებს „ჩელსიში“ გაყიდული დიდიე დროგბას შემცვლელად სჭირდებოდათ.

როგორც ამბობდნენ, კოლერი „მარსელს“ თავის წილ ადრევე ელაპარაკა და ყველაფერზე შეუთანხმდა, მაგრამ დორტმუნდელებთან ვერა და ვერ გამონახა საერთო ენა სატრანსფერო თანხასთან დაკავშირებით. გერმანელები „მარსელს“ 7 მილიონ ევროს სთხოვს, ხოლო ფრანგები ამ თანხის გადახდას შორს იჭერენ.

„დორტმუნდმა“ ფინანსური შეთავაზება არ მიიღო — დაადასტურა ფეხბურთელის აგენტმა პაველ პასკამ — იანს „ბორუსიასთან“ 2006 წლამდე აქვს კონტრაქტი, ასე რომ, კლუბის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ“.

ასე და ამგვარად, ახლა ფრანგები, როგორც მოსალოდნელია, ბრაზილიელ ვარსკვლავს, ლუის ფაბიანოს ყიდვას შეეცდებიან. 23 წლის ლუის ფაბიანო ერთხელ უკვე იყო საფრანგეთში, „რენში“ თამაშობდა, მაგრამ თავი ვერ გამოიჩინა. ამბობენ, რომ ახლა იგი კვლავ შეიძლება „ლე შამპიონატს“ დაუბრუნდესო.

ლუის ფაბიანოს შეძენით „მარსელის“ გარდა დაინტერესებულნი არიან „პორტუ“, „სევილია“, „ბეტისი“, „მილანი“ და „ბარსელონა“.

**პაპუნა ძიძია**

# ოსებს პიატიგორსკმა აწყინათ
## გაზაევი ოლიჩით ისვრის



პიატიგორსკის მოედანზე „ალანიამ“ ერთხელაც ვერ იხეირა

ჭკუამხიარულმა რუსმა მოედანზე... ბატი შეუშვა.

ბატმა ბალახი წიწკნა, ბარბაცით ისეირნა და მაყურებლების სიცილ-ხარხარით შეშინებული აფრინდა, სტადიონს ჰაერში საპატიო წრე დაარტყა და იქაურობას გაეცალა.

მეორე ნახევარში თვალსასეირო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით რუბინელი სიბაიას გაძევებას. სტუმრები ბოლო თხუთმეტი წუთი კაცნაკლულნი თამაშობდნენ და გასათანაბრებლად ძალა არ ეყოთ.

სამარელებმა როსტოვში მატჩი ისე გალიეს, რომ კარში სულ ორჯერ დაარტყეს, მაგრამ იღბალა გოლით მოიგეს.

„როსტოვს“ შინ 1 მაისის შემდეგ არ წაეგო. დონისპირელებმა მაშინ „ლოკომოტივთან“ დათმეს შეხვედრა და თითქმის სამთვიანი წაუგებელი სერია „კრილია სოვეტოვმან“ შეაწყვეტია.

მეორე ტაიმში მსაჯმა სტუმართა სასარგებლოდ საეჭვო პენალტი დანიშნა. როსტოველი მეკარე ბლიზნიუკი არბიტრს უმტკიცებდა, პოშკუსი არ წამიქცევიაო, რისთვისაც ბლიზნიუკმა გაფრთხილება მიიღო.

ჩემპიონატის ბომბარდირმა ანდრეი კარიაკამ პენალტი უშნოდ დაარტყა — მეკარემ მოიგერია და მსაჯი ხელების პრანჭვით, უსიტყვოდ გამოლანძღა.

როსტოველებს მაინც არ გაუმართლათ. შეცვლაზე შესული სტუმარი ვინოგრადოვი პასის გაკეთებას ცდილობდა, დონისპირელ ბუტს ბურთი ფეხზე რომ მოხვდა და „როსტოვის“ კარში შეგორდა.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ზედიზედ მესამედ მოიგო მატჩი, რომელშიც თავიდან აგებდა. ამჯერად მათ თანაქალაქელი „დინამო“ დაამარცხეს. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში „ლოკომოტივმა“ 0:2 4:2-ად აქცია, ახლა კი 0:1 შეაბრუნა სათავისოდ.

„დინამოს“ შემადგენლობაში გამოჩნდა „ყუბანიდან“ გადასული ვლადიმირ ბესჩასტნიხი და პირველივე მატჩში გოლი შეაგდო.

ხოხლოვმა საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა, მერე კი ევსეევმა ცხრიანში შეჭედა ბურთი და იური სიომინის გუნდმა სეზონში მეათე მატჩი მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რუსეთი

პრემიერლიგა. XVIII ტური

**ლოკომოტივი 2:1 დინამო**

0:1 ბესჩასტნიხი (25), 1:1 ხოხლოვი (56), 2:1 ევსეევი (76)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, პაშინინი, სენიკოვი, გურენკო, ჟ. ლიმა, ლოსკოვი, ხოხლოვი, ბილიალეტდინოვი (ჩესნაუსკისი 46), სიჩოვი (ასათიანი 87), პარკსი (აშვეთია 65)

მწვრთნელი: იური სიომინი

დინამო: ბერეზოვსკი, მენდი, ხიზანეიშვილი, ბატაკი, ტანასიევიჩი, პოლოვინჩუკი, ტოჩილინი, იაშინი (პანეკი 74), შეპარდი (მიხაილოვი 59), ბესჩასტნიხი, პროხორენკოვსი (ბულიკინი 46)

მწვრთნელი: ვიქტორ ბონდარენკო

**როსტოვი 0:1 კრილია**

0:1 ვინოგრადოვი (80)

**ცსკა 1:0 რუბინი**

1:0 ოლიჩი (43)

**ალანია 0:3 ზენიტი**

0:1 სპივაკი (443), 0:2, 0:3 კერჟაკოვი ( 75, 88)

ალანია: ხომიჩი, დროზდოვი, ბრაბეცი, ვარზიევი, ბატესი, ბაზაევი, იანოვსკი, კორიტკო, კუსოვი (სმირნოვი 76), გვაზავა (დარასელია 62), წიკლაური (ყაველაშვილი 58)

მწვრთნელი: როლან კურბისი

**მოსკოვი 3:1 ამკარი**

1:0 ბუდუნოვი (17), 1:1 ბახტინი (25), 2:1 ბალტიევი (44), 3:1 ბრაკამონტე (47)

**სატურნი 1:1 ტორპედო**

1:0 ბაჟენოვი (63), 1:1 ბუდილინი (883)

სანქტ პეტერბურგის „ზენიტმა“ პიატიგორსკში „ალანიას“ მოუგო და პირველ ადგილზე გადაბრძანდა. ვლადიკავკაზელებმა კი მიჯრით მეხუთე შეხვედრა წააგეს. „ალანიამ“ პიატიგორსკში იმიტომ ითამაშა, რომ მათ სტადიონზე ბალახს ცვლიან. მომდევნო საშინაო მატჩს „წითელ-ყვითლები“ ვლადიკავკაზში გამართავენ და ეგებ იქ შეძლონ ნავსის გატეხვა.

სპივაკმა ანგარიში პენალტით პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა, მეორე ნახევრის ბოლო თხუთმეტ წუთში კი ნევისპირელთა მთავარმეგოლე კერჟაკოვმა წყვილი გოლი გაიტანა.

მოსკოვის „ტორპედომ“ „სატურნს“ ქულა წაჰგლიჯა. ბაჟენოვმა მასპინძლები დააწინაურა, ბუდილინმა კი ვოლკოვის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაათანაბრა.

მატჩის მიწურულს ტორპედოელმა ლებედენკომ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გოლი გააუქმა.

ივიცა ოლიჩმა სეზონში მეშვიდე გოლი გაიტანა, ცსკა-მ კი ვალერი გაზაევის ხელქვეით მიჯრით მეორე შეხვედრა მოიგო.

მასპინძლეთა მწვრთნელმა სერბი ახალწვეული, 19 წლის მილოშ კრასიჩი დისკვალიფიცირებული ირჟი იაროშიკის ნაცვლად ათამაშა.

„რუბინს“ მეშვიდე წუთზევე ჰქონდა საგოლე მომენტი. საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ჩიჟეკმა დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა.

ცსკა ტაიმის მიწურულს დაწინაურდა. როლან გუსევის ჩაწოდებულ ბურთს ივიცა ოლიჩმა თავი შეაგება და კარის მაღალ კუთხეში ჩასვა.

შესვენებისას წვიმა წამოვიდა და მეორე ტაიმის დაწყება დაგვიანდა, მაგრამ არა წვიმის გამო. მავანმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 17 | 10 | 4 | 3 | 31:15 | 34 |
| ცსკა | 18 | 9 | 7 | 2 | 29:15 | 34 |
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 4 | 3 | 25:12 | 34 |
| კრილია | 18 | 10 | 4 | 4 | 30:26 | 34 |
| ზენიტი | 17 | 10 | 3 | 4 | 32:23 | 33 |
| სატურნი | 17 | 4 | 10 | 3 | 18:15 | 22 |
| რუბინი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:18 | 20 |
| მოსკოვი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:20 | 20 |
| ამკარი | 17 | 4 | 8 | 5 | 13:21 | 20 |
| დინამო | 18 | 4 | 7 | 7 | 18:21 | 19 |
| როსტოვი | 17 | 5 | 4 | 8 | 19:24 | 19 |
| ალანია | 17 | 5 | 4 | 8 | 16:22 | 19 |
| სპარტაკი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:26 | 18 |
| შინიკი | 16 | 4 | 6 | 6 | 11:16 | 18 |
| ყუბანი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:25 | 13 |
| როტორი | 17 | 1 | 4 | 12 | 16:35 | 7 |

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

*ძალიან ვწუხვარ. მადრიდის „რეალზე“ ვერაფერს გეტყვით, ამიტომ არაფერი მკითხოთ. კარგი იქნება თუ თავს დამანებებთ — ასე გაალნე თავის [illegible] ვიეირა ესპანური „მარკას“ შეკითხვამ, მადრიდში თქვენს შესაძლო გადასვლაზე რას გვეტყვითო.*

# ვიეირა დამუნჯდა
## არც ერთი სიტყვა რეალზე




**ესპანელმა** ჟურნალისტებმა ვიეირას ავსტრიული გრაციდან ორმოცდაათი კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ ბად ვალტერსდორფში მიაკითხეს, სადაც ლონდონის „არსენალი“ საახალსეზონოდ ემზადება.

ვიეირა არსენ ვენგერის გუნდს გუშინწინ შეუერთდა — იგი ავსტრიაში იმ თანაგუნდელებთან ერთად ჩავიდა, რომელთაც ევრო 2004-ზე თამაშის გამო საზაფხულო არდადეგები გაუგრძელდათ.

ესპანელები სასტუმროსკენ მიმავალ ფრანგს მისივე ძმაკაცის, ზინედინ ზიდანის მეგობარ ჟურნალისტებად გაეცნენ და უმალ კითხვების კორიანტელი დააყარეს: ნამდვილად გინდათ „რეალში“ თამაში? „ბერნაბეუზე“ როდის უნდა გელოდოთ? პატრიკ ვიეირა კი, ზემოთაც ვთქვით, ცდილობდა, თავი აერიდებინა ამ კითხვებისთვის.

ამ დროს, ფრანგსა და ჟურნალისტებს შორის ვიეირას დაცვის წევრები ჩამდგარან და ფოტორეპორტიორთათვის ფოტოს გადაღებაც აუკრძალავთ.

„მარკას“ ცნობით, ვიეირა სასტუმროსკენ ანრისთან ერთად მიდიოდა, მაგრამ იქ შესვლამდე რამდენჯერმე უკან მოიხედა, აშკარად ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ანრიმ გააჩუმაო.

„მარკასვე“ თუ ვერწმუნებით, აქამდე „რეალში“ გადასვლაზე გულღიად მოლაპარაკე ვიეირას დამუნჯება, „არსენალის“ თავკაცების მკაცრი გაფრთხილების შედეგი ყოფილა.

**ლადო ხომერიკი**

# კანისარესმა ვალენსია ინგლისში გაიფორმა



**სანტიაგო კანისარესმა** „ვალენსიასთან“ კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი. ეს ამბავი ინგლისში, ლიდსში გადაწყდა, სადაც „ვალენსია“ ახალი სეზონისთვის ემზადება. ერთი სიტყვით, 35 წლის მეკარე „მესტალიაზე“ 2007 წლამდე დარჩება. საქმე ისაა, რომ ძველი ხელშეკრულებით სანტიაგოს „ვალენსიაში“ 2005 წლამდე უნდა ეთამაშა.

ესპანელთა იტალიელ დამრიგებელ კლაუდიო რანიერის კანისარესის კონტრაქტის განახლებასთან დაკავშირებით თავისი კმაყოფილება არ დაუმალავს. „ძალიან მოხარული ვარ, რომ სანტიაგო ჩვენთან უფრო დიდი ხნით დარჩება. იგი შესანიშნავი მეკარეა და თავის გამოცდილებასა და ოსტატობას კიდევ მრავალჯერ დაამტკიცებს.“

„ვალენსიას“ კარის მცველით რამდენიმე ინგლისური კლუბი იყო დაინტერესებული, თუმც კანისარესს გუნდის მიტოვება გულშიც არ გაუვლია. „ბევრი წინადადება მივიღე, მაგრამ ვფიქრობ, რომ „ვალენსიაში“ უკეთესი პირობები მექნება და ამ კლუბის მიტოვება ჩემი მხრიდან დღეს შეცდომა იქნებოდა“ — აღიარა მეკარემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

კანისარესი „ვალენსიაში“ 1998-99 წლების სეზონში მივიდა. ბოლო 3 სეზონის განმავლობაში სანტიაგომ პრიმერადივიზიონის მეკარეთა შორის ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა. „ვალენსიასთან“ ერთად ბევრი წყენა და სიხარული განმიცდია. იმედია, ახალ სეზონშიც შარშანდელივით კარგად ვითამაშებთ“ — თქვა კონტრაქტზე ხელმოწერის მერე ვეტერანმა მეკარემ.

**ლადო ხომერიკი**

# გერმანული ტრანსფერები 2004-2005



„შალკემ" წინა სეზონის ბომბარდირი და ჩემპიონი, ბრაზილიელი აილტონი გადაიბირა

## ვერდერი

მოვიდნენ

დ. იენსენი (მურსია, ესპანეთი)
პასანენი (აიაქსი, ჰოლანდია)
ფარენჰორსტი (ბოხუმი)
კლოზე (კაიზერსლაუტერნი)
გუსტავო ნერი (სან პაულუ, ბრაზილია)

წავიდნენ

აილტონი (შალკე)
კრსტაიჩი (შალკე)
ბანოვიჩი (ნიურნბერგი)
დაუნი (ნიურნბერგი)
როლფესი (ალემანია)
ველაგე (დუისბურგი)
მ. ფრიდრიხი (მაინცი)
სკრიპნიკი (თამაში მიატოვა)

## ბაიერნი

მოვიდნენ

ფრინგსი (დორტმუნდი)
გიორლიცი (მიუნხენ 1860)
ჰაშემიანი (ბოხუმი)
ლუსიო (ლევერკუზენი)

წავიდნენ

ლელი (კიოლნი)
მისიმოვიჩი (ბოხუმი)
ლიზარაზუ (მარსელი, საფრანგეთი)

## ლევერკუზენი

მოვიდნენ

ფრაიერი (ბოხუმი)
როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია)
კრჟინოვეკი (ნიურნბერგი)
შტარკე (ჰამბურგი)
ვორონინი (კიოლნი)

წავიდნენ

ბაშთურქი (ჰერტა)
ბრდარიჩი (ვოლფსბურგი)
ჰერჩი (კაიზერსლაუტერნი)
იურიჩი (ჰანოვერი)
ლუსიო (ბაიერნი)
ა. მეიერი (დუისბურგი)
ნოივილი (მიონხენგლადბახი)
პროისი (ბოხუმი)
შიმაკი (სპარტა, ჩეხეთი)
სებესკენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბარნეტა (ჰანოვერი)

## შტუტგარტი

მოვიდნენ

შტრანცლი (მიუნხენ 1860)
ბაბელი (ლივერპული, ინგლისი)
დელპიერი (ლილი, საფრანგეთი)
რატგები (ახალგაზრდული გუნდიდან)

წავიდნენ

ბორდონი (შალკე)
მ. ფინკი (არმინია)
ჰუსტერერი (აინტრახტი)
მუტცელი (კარლსრუე)
რუი მარკეში (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბრანკო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჰანზა

მოვიდნენ

ა. კელერი (ტრირი)
ლაპაჩინსკი (ჰერტა)
კ. მადსენი (ვოლფსბურგი)
დ. რასმუსენი (ნორდსიელანდი, დანია)
აგალი (შალკე)

წავიდნენ

კლევერი (ნიურნბერგი)
კოვარი (სიგმა, ჩეხეთი)
პლასნეგერი (გრაცერი, ავსტრია)
შიდი (უნტერჰახინგი)
მაქსი (თამაში მიატოვა)
კინცი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიმერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## დორტმუნდი

მოვიდნენ

კრინგე (კიოლნი)
ოლისე (ბოხუმი)
რამელი (ახალგაზრდული გუნდიდან)
აკგიუნი (ახალგაზრდული გუნდიდან)

წავიდნენ

ახენბახი (კიოლნი)
კეისი (მაინცი)
ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი)
ფრინგსი (ბაიერნი)
კრონტირისი (მიუნხენ 1860)
ლეანდრო (პალმეირასი, ბრაზილია)
ამოროზო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰერლიხი (თამაში მიატოვა)
შ. როიტერი (თამაში მიატოვა)

## შალკე

მოვიდნენ

აილტონი (ვერდერი)
ბორდონი (შტუტგარტი)
კრსტაიჩი (ვერდერი)
ლინკოლნი (კაიზერსლაუტერნი)
პეტერაიტი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ბაუმიოჰანი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ჰესე (ახალგაზრდული გუნდიდან)
ჰოოგლანდი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ტალარეკი (ახალგაზრდული გუნდიდან)

წავიდნენ

ჰაიტო (ნიურნბერგი)
ციომერი (ტვენტე, ჰოლანდია)
გლიდერი (პაშინგი, ავსტრია)
ვან კერკჰოვენი (მიონხენგლადბახი)
პინტუ (ალემანია)
ზაიცი (კაიზერსლაუტერნი)
ტროიანი (ბოხუმი)
აგალი (ჰანზა)
კ. ჯორჯევიჩი (თამაში მიატოვა)
მატელანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჰამბურგი

მოვიდნენ

ლაუტი (მიუნხენ 1860)
ე. მპენზა (სტანდარდი, ბელგია)
ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი)
კირშტაინი (ესენი)
ბრეშკო (შმარტნო, სლოვენია)
ჰამპელი (ჰერტა B)

წავიდნენ

ფუკალი (მიონხენგლადბახი)
ჰოოგმა (ჰერაკლესი, ჰოლანდია)
მალტრიცი (ბოხუმი)
ა. მეიერი (აინტრახტი)
შტარკე (ლევერკუზენი)
ლედესმა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ჰოლერბახი (თამაში მიატოვა)
კარდოზო (თამაში მიატოვა)

## ბოხუმი

მოვიდნენ

ბეკმანი (ესბიერგი, დანია)
ედუ (სანტოსი, ბრაზილია)
მალტრიცი (ჰამბურგი)
კნავსი (კაიზერსლაუტერნი)
ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი)
პროლისი (ლევერკუზენი)
ტროიანი (შალკე)
მისიმოვიჩი (ბაიერნი)
ნავიდკია (სეპაჰანი, ირანი)
ტეკანი (ახალგაზრდული გუნდიდან)
მატიპი (ახალგაზრდული გუნდიდან)

წავიდნენ

ოლისე (დორტმუნდი)
ბაკლი (არმინია)
ფარენჰორსტი (ვერდერი)
ფრაიერი (ლევერკუზენი)
ჰაშემიანი (ბაიერნი)
ბ. გუდიონსონი (ქოვენთრი, ინგლისი)
ვრიეზდე (ჰელმონდი, ჰოლანდია)

## ვოლფსბურგი

მოვიდნენ

აჰუმადა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ბრდარიჩი (ლევერკუზენი)
მ. ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი)
ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
ლენცი (მიუნხენ 1860)
ტ. მარიჩი (მიონხენგლადბახი)
მენსეგესი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია)

წავიდნენ

ფ. ბაიანო (ფლამენგო, ბრაზილია)
კ. მადსენი (ჰანზა)
ლალატოვიჩი (შახტარი, უკრაინა)
პონსე (უნ. დე ჩილე, ჩილე)
კვატროკი (ვერაკრუსი, მექსიკა)
რამოვიჩი (მიონხენგლადბახი)
ბილიშკოვი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰრგოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## გლადბახი

მოვიდნენ

ფუკალი (ჰამბურგი)
კამპა (ნიურნბერგი)
ვან კერკჰოვენი (შალკე)
ნოივილი (ლევერკუზენი)
რამოვიჩი (ვოლფსბურგი)
სკოუბო (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი)
ციგე (ტოტენჰემი, ინგლისი)
ივიჩი (პარტიზანი, სერბეთი)

წავიდნენ

ასანინი (აალენი)
კეტელაერი (ნიურნბერგი)
ვან ლენტი (აინტრახტი)
ტ. მარიჩი (ვოლფსბურგი)
მ. ობრადოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი)
ოჯიგვე (მიუნხენ 1860)
რაიტმაიერი (ერფურტი)
რუბენი (რეალი, ესპანეთი)
შიოსლერი (პადერბორნი)
შტილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჰერტა

მოვიდნენ

ბაშთურქი (ლევერკუზენი)
ჟილბერტო (სან კაეტანო, ბრაზილია)
შრიოდერი (კიოლნი)
ტრემერი (ჰანოვერი)

წავიდნენ

გოორი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
კირალი (კრისტალ პალასი, ინგლისი)
ლაპაჩინსკი (ჰანზა)
კარვანი (ლეგია, პოლონეთი)
კუშჩაკი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი)
პინტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ფრაიბურგი

მოვიდნენ

დორნი (შანხაი შენხუა, ჩინეთი)
პიტროიპა (პლანეტე, ბურკინა ფასო)
ოლაიენგბეში (ჟულიუს ბერგერი, ლაოსი)

წავიდნენ

გიასუა (კაიზერსლაუტერნი)
გუიე-მიენი (კიოლნი)
მენერი (კარლსრუე)
ა. ცაიერი (თამაში მიატოვა)

## ჰანოვერი

მოვიდნენ

ბარნეტა (ლევერკუზენი)
ენკე (ბარსელონა, ესპანეთი)
იურიჩი (ლევერკუზენი)
ლეანდრო (იანგ ბოისი, შვეიცარია)
რიკარდუ სოუზა (ბოავიშტა, პორტუგალია)
ტარნატი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
ვალნერი (რაპიდი, ავსტრია)
შტეფული (ნიურნბერგი)

წავიდნენ

ხაიმე (დეპორტივო, ესპანეთი)
კლებერი (ბაზელი, შვეიცარია)
კონსტანტინიდისი (კიოლნი)
ნკუფო (ტვენტე, ჰოლანდია)
ოსვალდი (კარლსრუე)
როსე (მაინცი)
ტრემელი (ჰერტა)
შულერი (არმინია)
აბელ შავიერი (ალ აჰლი, ყატარი)
მ. ციგლერი (აუსტრია, ავსტრია)

## ლაუტერნი

მოვიდნენ

ნერლინგერი (რეინჯერსი, შოტლანდია)
იანკერი (უდინეზე, იტალია)
ჰერჩი (აინტრახტი)
ამანატიდისი (აინტრახტი)
ზაიცი (შალკე)
მიკიჩი (დინამო, ხორვატია)
ზანდი (ლიუბეკი)
ენგელარდტი (კარლსრუე)
გიასულა (ფრაიბურგი)
ტებერი (ზალცბურგი, ავსტრია)
ფრომლოვიცი (ახალგაზრდული გუნდიდან)

წავიდნენ

კლოზე (ვერდერი)
ლოკვენცი (ბოხუმი)
კნავსი (ბოხუმი)
მ. ხრისტოვი (ვოლფსბურგი)
ლინკოლნი (შალკე)
ბიელიცა (ადმირა, ავსტრია)
გლიბო (რეგენსბურგი)
ჰენგენი (ალემანია)
დომინგუში (ალ აჰლი, ყატარი)
ს. როიტერი (ზაარბრიუკენი)

## ნიურნბერგი

მოვიდნენ

ბანოვიჩი (ვერდერი)
ბოსაცკი (ლეხი, პოლონეთი)
დაუნი (ვერდერი)
ლეანდრო და სილვა (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ჰაიტო (შალკე)
კეტელაერი (მიონხენგლადბახი)
კლევერი (ჰანზა)
შროტი (მიუნხენ 1860)
ვაგეფელდი (დინამო, დრეზდენი)

წავიდნენ

ს. ჩირიჩი (ოფენბახი)
დავიდი (ერფურტი)
კამპა (მიონხენგლადბახი)
კოში (აუე)
კრჟინოვეკი (ლევერკუზენი)
კიოგლერი (ოსნაბრიუკი)
ნიხტი (ალემანია)
პასლაკი (იურდინგენი)
შტეფული (ჰანოვერი)
შტელე (ალემანია)
ვლადემირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დრილერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტონი სანე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაფაელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფრაი (თამაში მიატოვა)

## არმინია

მოვიდნენ

ბაკლი (ბოხუმი)
კ. დურო (რიზესფორი, თურქეთი)
მ. ფინკი (შტუტგარტი)
მ. მარიჩი (კერნტენი, ავსტრია)
რადუჩანუ (ესპანიოლი, ესპანეთი)
შულერი (ჰანოვერი)
ტრაიანოვი (ლოკომოტივი, ბულგარეთი)

წავიდნენ

ამედიკი (ბრაუნშვაიგი)
ბენშნაიდერი (კიოლნი)
რადტკე (ტრირი)
სინისტერა (დუისბურგი)
ვიოლშოვი (აალენი)
მურავსკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სადოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მაინცი

მოვიდნენ

კეისი (კარლსრუე)
იოვანოვიჩი (დინამო, დრეზდენი)
ნოვესკი (აუე)
ვაიგელტი (ესენი)
მ. ფრიდრიხი (ვერდერი)
როსე (ჰანოვერი)

წავიდნენ

კიონე (კილი)
ს. შვარცი (ესენი)
ტიურკი (კოტბუსი)
ციგნერი (კარლ ცეისი)
ბულაიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სპერანცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვალკერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

*შაბათს საქართველოს ნაკრებმა შვედეთს 91:81 მოუგო და სან ჯორჯოს ოთხთა ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. გამარჯვებული კი სამივე თამაშის მომგები მასპინძელი იტალია გახდა და ამაში გასაკვირი არაფერია. „სკუადრა აძურა" უძლიერესი, საოლიმპიადო შემადგენლობით თამაშობდა, როცა საქართველო და რუსეთი არაერთი წამყვანი კალათბურთელის გარეშე ჩავიდნენ სან ჯორჯოში*

# ბრაიკოვიჩი სან ჯორჯოში მოიხიბლა

## საქართველო ევროკალათბურთის პირველ კლასში შევიდა


ვაჟიკო ქიტიაშვილის ფოტო

**ისე გამოვიდა,** ტელევიზიით მაინცდამაინც ის ერთადერთი წაგებული მატჩი ვნახეთ, რომელშიც საქართველომ ვერაფერი გააწყო ბობოქარ იტალიასთან. „ცისფრებთან" საქართველოს კი არა, კონტინენტის წამყვან გუნდებს უჭირთ, ხოლო ერთი ხელის გაქნევით რუსებისა და შვედების ძლევა სახუმარო საქმე სულაც არ გახლავთ.

შვედეთი ბოლო ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა და ამ მიზეზით მიიღო მასში მონაწილეობა. სკანდინაველებს თავი არ შეურცხვენიათ და ჯგუფში ბობოქარ მეტოქეებსაც ღირსეულად ეთამაშნენ. რუსეთზე კი რა უნდა თქვა, რუსეთია და შესაბამისად, ძლიერი. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ოპტიმალური შემადგენლობით არ ჩასულან სან ჯორჯოში, თუმც თუ დანაკლისია, ქართველების სამი წამყვანი მოთამაშის არყოფნაზეც უნდა ითქვას — ცქიტიშვილზე, სტეფანიასა და ნაცვლიშვილზე.

მაგრამ ახლა შემადგენლობების ერთმანეთზე დაზომება და „მე იტალიასთან შენზე ნაკლებით წავაგეს" ძახილი არ გამოგვადგება. მთავარი ერთია — სამი წლით იზოლაციაში მყოფი ქართველები ევროპაში გავიდნენ და შელახული იმიჯის კვალობაზე ხმამაღალი სიტყვა თქვეს კონტინენტის წამყვან გუნდებში. ერთი წუთით სან ჯორჯოს ტურნირს მავანი ევროპელის თვალით შეხედეთ... ვინაა ეს საქართველო, ევროპის ჩემპიონატზე კი არა, მის შესარჩევ ტურნირზე რომ არ მინახავს, სადღაც ქვედა ეშელონებშია გაჩხერილი და აგერ, სან ჯორჯოს ტურნირზე მოუწვევიათო — თუ არ იტყოდით, ხომ გაიფიქრებდით მაინც? ასეა, ქართველებისთვის სან ჯორჯოში მხოლოდ წასვლაც რაღაცას ნიშნავდა, ხოლო ჩვენებმა იქ ხელიც გამოიღეს.

ქართველებს ახლა ექსტრემალურ ვითარებაში უწევთ მუშაობა — ევროსაკვალიფიკაციომდე თვენახევარი რჩება, სრული შემადგენლობა კი ჯერაც არ შეკრებილა. დრაჟენ ბრაიკოვიჩს უნდა, გუნდი შეათამაშოს, მაგრამ რა შეთამაშებაზეა ლაპარაკი, როცა ნაკრებს სექტემბერში ნბა-ს კიდევ ორი წევრი უნდა დაემატოს და ეგებ ვატო ნაცვლიშვილმაც მოასწროს გამოჯანსაღება. მაშინ ხომ სრულიად შეიცვლება სასტარტო შემადგენლობა და სან ჯორჯოში მოედანზე ერთად მყოფი ხალხიც ერთმანეთს დაშორდება. ბრაიკოვიჩი ეგებ ბევრსაც ეცადა, გუნდი გაემთლიანებინა, მაგრამ საამისოდ მას მხოლოდ სამი მატჩი ჰქონდა, რაც წარმოუდგენლად მცირეა.

მაგრამ ამ შეუთამაშებლობას არ უნდა გადავაყოლოთ ჩვენი ნაკრები. ძალიანაც შეთამაშებულნი იყვნენ შვედები, მაგრამ ქართველებთან ვერაფერი გააწყვეს. იგივე ითქმის რუსებზეც. ბრაიკოვიჩს გუნდში იმდენად ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, რომ სან ჯორჯოში მათი კლასის, ინდივიდუალიზმის ხარჯზე მოიპოვა გამარჯვებები. ამ კლასმა ეგებ კარსმომდგარ საკვალიფიკაციოზეც გაჭრას, მაგრამ მერე, როცა ევროპის შესარჩევში არანაკლები კლასის მქონე კალათბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდებს შევხვდებით, ჰარმონია და მწვრთნელის ხელი აუცილებლად დაგვჭირდება.

სან ჯორჯოში გამოჩნდა, რომ ცქიტიშვილ-ფაჩულიაზე არანაკლებ პერსპექტიულია სანიკიძე-ცინცაძე-მარკოიშვილის თაობა. ამ უკანასკნელმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა იტალიაში, სანიკიძემ და ცინცაძემ კი ცხადყვეს, რომ მალე დიდ კონკურენციას გაუწევენ ნაკრებში მათ პოზიციაზე მოთამაშე ნბა-ელებს. ცინცაძემ შვედებთან სულაც 25 ქულა გააკეთა და მისი ამპლუის შემონდ უილიამსსაც ალბათ აფიქრებინა, ამ ხალხს ასეთი ბავშვი თუ ჰყავდათ, მე რაღაზე მეძახდნენო.

თავად უილიამსი კი ცალკე თემაა. უკვე თითქმის „გაქართველდა" და მომავალ მატჩებშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ნაკრებს. სან ჯორჯოში უილიამსმა ყოველ მატჩში 30 ქულა რომ ვერ გააკეთა, არ ნიშნავს, რომ სუსტი მოთამაშეა. მას ნბა-ში თამაშის ხანგრძლივი სტაჟი აქვს და სულით ვერ გატეხ. ცინცაძე კი ჯერაც ნედლია და 25-ქულიან თამაშს ეგებ სამი უქულო მატჩი მოაყოლოს, გამთამაშებლის პოზიციაზე მას ვერ ენდობი. ის უილიამსის კარგი შემცვლელი იქნება და, როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრებს ყველა პოზიციაზე სოლიდური შემცვლელი ეყოლება, რაც თავისთავად დიდი უპირატესობაა.

ნაკრები გუშინ რომ დაიშალა, სექტემბრის დასაწყისში შეიკრიბება და რამდენიმე დღეში ფინეთს ეთამაშება უკვე ოფიციალურ მატჩში. ფინეთამდე კი ქართველებმა ევროპელებს თავი შეახსენეს. თავისუფლად შეიძლება, სან ჯორჯოში მოპოვებული ორი გამარჯვება დიდი წარმატებების საწინდარი გახდეს. საამისოდ საძირკველი უკვე ჩაყრილია და საქმეს ჭკვიანურადვე სჭირდება გაგრძელება.

**ირაკლი პერტაია**


გიორგი ცინცაძემ დიდ ნაკრებშიც ივარგა

*ქართველები თავანეულნი მოდიან იტალიიდან, სან ჯორჯოს ტურნირის ბოლო მატჩში დრაჟენ ბრაიკოვიჩის გუნდმა შვედეთი დაამარცხა. მოულოდნელად 25 ქულა გაიღო 17 წლის გიორგი ცინცაძემ, რასაც 21 დაურთო შემონდ უილიამსმა და 17 ვლადიმერ ბოისამ. ქართველებმა უკვე დატოვეს სან ჯორჯო — ნბა-ელებმა ამერიკისკენ გაუტიეს, ვოვა ბოისა სლოვენიაში გადავიდა, დანარჩენები კი წუხანდელ ღამეს რომში გაათევდნენ და დღეს უკვე თბილისში იქნებიან. შვედებთან მატჩზე ვლადიმერ ბოისა გვესაუბრება, რომელიც იტალია — სლოვენიის გზაზე „გამოვიჭირეთ"...*



# იტალიას კიდევ შევხვდებით

## დღეს რუსეთი ვიკმაროთ

— იოლად არ მოგვიგია, შვედები კარგა ხანს გვეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედში საბოლოოდ გატყდნენ, როცა 15 ქულით დავწინაურდით.

**— რაში აჯობეთ მეტოქეს?**

— თითქმის ყველაფერში, ეგაა, შვედები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ. ჩვენ მანამდე ორი ძალიან რთული მატჩი გადავიტანეთ და დაღლილები ვიყავით.

**— შვედებსაც ხომ ორი თამაში ჰქონდათ თქვენამდე?!**

— კი, მაგრამ ჩვენ თითქმის შეუცვლელად ვთამაშობდით. მე, შემონდ უილიამსს და ზაზა ფაჩულიას თითო მატჩში 35 წუთზე ნაკლები არ გვითამაშია.

**— ბრაიკოვიჩი რატომ არ გცვლიდათ?**

— რა ვიცი, ეგ მწვრთნელს უნდა ჰკითხო. მე კი ვფიქრობ, იმიტომ, რომ ჩვენ შედარებით გამოცდილები ვართ, თან შეთამაშებაც გვინდოდა.

**— ჩვენებურთაგან თავი ვინ ისახელა?**

— გიორგი ცინცაძემ 25 ქულა გააკეთა, რაც მისი ასაკის კალათბურთელისთვის ძალიან დიდი მიღწევაა. მან დიდებულად ითამაშა და დამსახურებულადაც გახდა მატჩის ბომბარდირი. შემონდ უილიამსმა — 21 ქულა გააკეთა, მე — 17, ხოლო ზაზა ფაჩულიამ — 12. კარგად ითამაშა შიო ხეცურიანმაც, რომელიც წინა ორ მატჩში არ გამოსულა მოედანზე. შვედებთან მის ანგარიშზე 10 ქულაა.

**— ვიქტორ სანიკიძე?**

— ვიქტორმა ფეხის ტრავმის გამო ვერ ითამაშა, სამაგიეროდ, რუსეთთან და იტალიასთან დაგვეხმარა ძალიან.

**— მეტოქეები ახსენე და ბარემ სან ჯორჯოს ტურნირის საბოლოო შედეგებიც გვითხარი...**

— ტურნირის გამარჯვებულმა იტალიამ სამივე მატჩი მოიგო, ჩვენ რუსები და შვედები დავამარცხეთ და მეორეზე გავედით. ბოლოზე კი შვედები აღმოჩნდნენ სამი წაგებით.

**— რუსებმა იტალიელებთან ბევრით წააგეს?**

— ჩვენზე ცოტა, 20 ქულით.

**— იტალიასთან მატჩზე მინდა გკითხო: რატომ დაიჩაგრეთ?**

— იმიტომ, რომ იტალია გრანდია, თან უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა. ეს იგივეა, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ბრაზილიას ეთამაშოს. ხომ ვერაფერს გააწყობს?

— კი, მაგრამ ერთი ხეირიანი კომბინაცია არ გაგითამაშებიათ. მწვრთნელის ხელი არ ეტყობოდა გუნდს...

— იგივეს გიპასუხებ: იტალიას ვეთამაშებოდით და არაფრის საშუალება არ მოგვცა. შვედებთან და რუსებთან კი კომბინაციებიც გავათამაშეთ და სწრაფი გარღვევებიც განვახორციელეთ.

**— კმაყოფილი ხარ სან ჯორჯოს შეკრებით?**

— კი, ძალიან. ეს დიდი სტიმული იყო ჩვენთვის. დავინახეთ, რომ უმაღლესი დონის გუნდებთანაც შეიძლება ბრძოლა. არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოს ნაკრებს 3 წელია, ამხანაგური შეხვედრაც კი არ ჩაუტარებია და აგერ, რუსეთს მოუგო. იტალიელებთანაც შეიძლება ბრძოლა, ოღონდ მაშინ, როცა უძლიერესი შემადგენლობით ვიქნებით.

**— შემონდ უილიამსზე რას იტყვი?**

— ძლიერი მოთამაშეა, ძალიან დაგვეხმარება მომავალ მატჩებში

**— მისი „გაქართველება" საბოლოოდ გადაწყდა?**

— ალბათ კი, მაგრამ უმჯობესია, ამაზე ფედერაციის ხელმძღვანელობას დაეკითხო. უილიამსი ჩვენი ნაკრების სტაჟიანი წევრივით იქცეოდა. ის ძალიან თბილი, მეგობრული ადამიანია და გუნდსაც უპრობლემოდ მოერგო.

**ირაკლი პერტაია**

# თასი ისევ იქ და ქორწილში

## ლოკომ გაშალა და ყოჩები დაშალა



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყოჩები“ ვერც ახლა აღზევდნენ მეტოქეზე

### საქართველოს თასი. ფინალი

„ლოკომოტივი“. 24 ივლისი

**ლოკომოტივი 55:20 სტუ-ყოჩები**

ლოკომოტივი: ასათიანი, ანდღულაძე (გუგავა), ალანია (ფ. უდესიანი), საჩირაშვილი, კობერიძე (აბაშიძე); კვინიხიძე (ძნელაძე), სამხარაძე; მაისურაძე (ჭელიძე), ტრაპაიძე, კახიანი (სპანდერაშვილი), მოგელაძე (ბერძენიშვილი), დათუნაშვილი, გ. ჟღენტი, ჯოხია, გასვიანი

7 ლელო: გუგავა (2), კახიანი, გ. ჟღენტი, მაისურაძე, კობერიძე, ტრაპაიძე

4 გარდასახვა: კვინიხიძე; 4 საჯარიმო: კვინიხიძე

გაძევება: გასვიანი

სტუ-ყოჩები: თ. სოხაძე (ოდიშარია), დადეშიანი, ვ. სოხაძე, ლობჟანიძე, შუბითიძე; მალაღურაძე, ფაილოძე; ზ. მაისურაძე, ცხადაძე (კორსანტია), ჩიკვაიძე, სულთანიშვილი (ს. მაისურაძე), ხურცილავა (ივანიშვილი), ფირიაშვილი (ალიმბარაშვილი), ჭავჭავაძე, მაჭარაშვილი (ჭყონია)

2 ლელო: თ. სოხაძე, ლობჟანიძე; 2 გარდასახვა: თ. სოხაძე; 2 საჯარიმო: თ. სოხაძე

გაძევება: ვ. სოხაძე

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი



„ლოკოს“ ლოკომოტივი გიორგი ჟღენტი „ყოჩებში“ გზას მიიკვლევს

**ოთარ მაღლაკელიძე**

საქართველოს თასის მრავალფაზიან გათამაშებას წერტილი გუშინ „ლოკომოტივზე“ დაესვა. ერთმანეთს თასის კენჭისყრაზევე პირველ-მეორე ნომრად განთესილი „ლოკომოტივი“ და „სტუ-ყოჩები“ დაეჯახნენ. შარშანდელ ფინალშიც მათ ითამაშეს და მაშინაც რკინიგზელებმა იმარჯვეს. „ლოკომოტივმა“ კვლავ იძალა, არადა, დაახლოებით ერთი თვის წინ ჯგუფურ ეტაპზე ამ გუნდების შეხვედრა „ყოჩებმა“ მოიგო.

ქართული რაგბის ცქერისას ალბათ ნებისმიერს პირველ რიგში თვალში მოხვდება შებოჭილი თამაში. თასის უმეტეს შეხვედრაშიც გამარჯვებული ფონს ძალით და მიწოლით გადიოდა. თამაშის გაშლასა და კომბინაციებს კი რატომღაც, თუ ბაქოს არ ხვდებოდა, ყველა უფრთხოდა. მიზეზიც მარტივია: თავის პლუსებთან ერთად ამ „სიახლეს“ მინუსებიც არანაკლები აღმოაჩნდება და რისკზე წასვლას ისევ შეჩვეულად ბურთაობას ამჯობინებდნენ.

ჯაჯგურით დაიწყო გუშინწინდელი ფინალიც და ერთხანს ვიფიქრეთ, ვინც ფიზიკურად აჯობებს, ის მოიგებსო, თუმცა, საბედნიეროდ, ვარაუდი არ გამართლდა. მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი ბოლო ნახევარი საათი გაშლილი და ლაღი რაგბი ვიხილეთ, ბლომად შეცდომებით, თუმც მაინც სასიამოვნო საცქერი. ამ მონაკვეთში „ლოკომოტივის“ უპირატესობა ანგარიშში გვარიანი იყო და შეიძლება ამანაც გაათამამა, მაგრამ ფაქტია, რკინიგზელების გააქტიურებამ მანამდე შეუპოვრად მოთამაშე „ყოჩები“ აშკარად გატეხა.

პირველი ლელო „ლოკომოტივის“ მესამეხაზელმა გიორგი კახიანმა მეტოქე უკანახაზელთა შეცდომას მოაყოლა. ბობა კვინიხიძემაც გარდასახა — 7:0. „ყოჩებმა“ სწრაფადვე შეუტიეს, 10 წუთზე მეტხანს იტრიალეს „ლოკოს“ ოცდაორში და ჯარიმაც მოინაგრეს, მაგრამ ლელოს გატანის იმედით კარში არ დაარტყეს. ერთი-ორჯერ სალელოვე ხაზთანაც იბუღრავეს, თუმც რკინიგზელებმა სიტუაციაც განმუხტეს და ბურთის ცენტრში ატანისთანავე ჯარიმაც აიღეს. კვინიხიძემ გაიტანა და სხვაობა ათ ქულამდე გაზარდა. ტაიმის შუაწელს „ყოჩთა“ მცველმა თემურ სოხაძემაც კარში დარტყმა არჩია და თავის გუნდს პირველი ქულები მოუტანა.

შესვენებამდე დარჩენილი დროის დიდი ნაწილი ბურთმა სტუდენტთა ნახევარზე იტრიალა, მაგრამ შვიდქულიანი უპირატესობის გაზრდა ბენდიაშვილის შეგირდებმა დიდხანს ვერ შეძლეს. აშკარად ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციით, აუტის შემდეგ პირველხაზელთა აქტიურობით გატანილ ლელოს ისევ თემურ სოხაძემ უპასუხა ლამაზი გარღვევით და ლელოთი. გარდასახვაც უნაკლოდ შეასრულა. მერე ამ ორმა დამრტყმელმა თითო საჯარიმოც გაცვალა და ტაიმი 20:13 დასრულდა.

მეორე ნახევარი მთლიანად „ლოკომოტივისა“ იყო. თამაშის ბედიც მალევე გადაწყდა. ვეტერანი კახა ალანიას რეიდი ნახვად ღირდა — ცენტრიდან ლამის სალელოვე ხაზამდე ირბინა და ზვიად კობერიძეს დაამიწებინა. ბობამაც გარდასახა — 27:13. ბენდიაშვილმა ორმაგ შეცვლას მიმართა და მოედანზე ლექსო გუგავა და ვასილ აბაშიძე შეუშვა. მორიგი კროსი სწორედ გუგავამ შეასრულა და თასში თავისი წილი ქულებიც ჩადო.

65-ე წუთზე ყურადღება მსაჯმა ნოდარ რობიტაშვილმაც მიიპყრო. „ყოჩ“ ვანო სოხაძეს ჯერ ყვითელი აუფრიალა, მერე კი უკმაყოფილების გამოხატვა არ აპატია და საერთოდ გააძევა. ბალანსი მალევე აღდგა. რობიტაშვილმა წითელი „ლოკოს“ პირველხაზელ დავით გასვიანსაც აუნთო. დაძაბულობა თამაშს დიდხანს არ გაჰყოლია და ანგარიშის ზრდაც გაგრძელდა.

ბოლო ათი წუთი კი ბიძინა სამხრაძისა იყო. რკინიგზელთა გამთამაშებელს თავად ქულაც არ მიუთვლია, მაგრამ სალელოვე პასები კი ბლომად არიგა. ჯერ ზვიად მაისურაძემ დადო, მერე მოედანზე შეცვლაზე შესულმა იუბილარმა გიორგი ტრაპაიძემ და ისევ ლექსო გუგავამ. საბოლოოდ „ლოკომოტივმა“ 55:20 იმარჯვა და საქართველოს თასს კვლავ მეორედ დაეუფლა.

მოგებულებმა მესამე ტაიმი თანაგუნდელი ტარიელ კოპალეიშვილის ქორწილში გადაიხადეს. საჩუქარიც ბრწყინვალე მიუტანეს — საქართველოს თასი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

---

### ახალი ზელანდია 23:21 სამხრეთ აფრიკა

ახალი ზელანდია: მულიაინა, ჰაულეტი, უმაგა (კაპ), კარტერი (ტუიტუპუ), როკოკოკო; სპენსერი, მარშალი (კელეჰერი); რაში, ჰოლა, კოლინზი, მალინგი (უილიამსი), ჯეკი, სომერვილი, მეალამუ, მიიუსი

1 ლელო: ჰაულეტი; 6 საჯარიმო: კარტერი 5, სპენსერი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პოლსი, ჟუბერი (რასელი), ბარი, დე ვილერსი; იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, დიუპრე; კრონჯე, ვენტერი (ფან ნიკერკი), ბურგერი, ფან დერ ბერგი, ბოთა (დავიდსი), ენდრიუსი (რაუტენბახი), სმიტი (კაპ), დუ რანდტი

3 ლელო: დე ვილიერსი, კრონჯე, დიუპრე; 3 გარდასახვა: მონტგომერი



REUTERS კრაისტჩერჩიდან

ომის შემდეგ ზავის დრო დგება: „მაორი“ ქიის მიიუსი და „ქურციკი“ ოზ დუ რანტი კიდევ ბევრჯერ შეერკინებიან ერთმანეთს

## აფრიკელებმა იფრინეს და გამოფრინდნენ

### ახალი ძალა ახალ ზელანდიას შეასკდა

**შაბათს** ახალზელანდიურ ქალაქ კრაისტჩერჩში რაგბი ზეიმობდა. მატჩში, რომელშიც სამხრეთული რაგბის ორი გიგანტი ერთმანეთის პირისპირ წარსდგა, ბოლო წუთამდე არაფერი იყო გარკვეული. ომი შედგა. თანაბარ ბრძოლაში მასპინძლებს ოდნავ უფრო გაუმართლათ და სამი ერის გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცნენ.

სამხრეთაფრიკელებმა, რომლებიც თანდათან ერევიან კრიზისს, მასპინძელ „მაორებს“ მოედანზე ცეცხლი დაუნთეს, საოცარი ჟინითა და შემართებით შეუტიეს, სამი ლელო გაუტანეს და საკუთარი ჩათვლის მოედანში მხოლოდ ერთხელ ვერ შეძლეს მასპინძლების შეკავება და სწორედ ამ ერთადერთმა ლელომ მოუტანა ზელანდიელებს გამარჯვება.

ძალიან ციოდა გუშინწინ კრაისტჩერჩში, თუმცა მორაგბეთა გულებში ისეთი ცეცხლი გიზგიზებდა, რომ ბრძოლა თავიდან ბოლომდე წამით არ შეჩერებულა. ისევე, როგორც ავსტრალიასთან მატჩისას, ახალი ზელანდია აქაც ფლობდა ბურთსაც და მოედანსაც, თუმცა მაშინდელივით, ახლაც კინკილა ლელო გაიტანა.

„შავებმა“ მეორე ტაიმში განსაკუთრებით მოუმატეს. ისეთ კომპონენტებშიც კი წაართვეს უპირატესობა მეტოქეს, რომელშიც აქამდე ვერ ყოჩაღობდნენ, მაგალითად, შერკინებაში. ზელანდიელებმა დამსახურებულად იმარჯვეს, რადგანაც თამაშში მთელი სული და გული ჩადეს. აწვებოდნენ მატჩის ბოლო წამამდე და ბოლოს დაგ ჰაულეტმა, როგორც იქნა, დაამიწა და მასპინძლებს გამარჯვება აზეიმა. ანგარიში 21:18 იყო „ქურციკთა“ სასარგებლოდ, როდესაც ზელანდიელებმა ფლანგური შეტევები წამოიწყეს, რამდენიმე რაქის შემდეგ ბურთი ჰაულეტს მოუვიდა და მისი შეჩერებელი ვეღარავინ მოიძებნა.

პირველი ლელო შეხვედრის დაწყებასთანავე გავიდა. აფრიკელები ჟან დე ვილერსის ლელოთი და პერსი მონტგომერის გარდასახვით 7:0 დაწინაურდნენ, მოგვიანებით კი კიდევ ერთი ლელო-გარდასახვით 14:9 გაექცნენ დროებით დაწინაურებულ „მაორებს“.

„ქურციკთა“ ბოლო ლელო კვლავ მათ გააზრებულ კომბინაციას მოჰყვა, რომელიც საბოლოოდ დიუპრემ დააგვირგვინა. მონტგომერიმ ისევ განდასახა — 21:12.

მეორე ტაიმში სულ სხვა ზელანდია გავიდა მოედანზე. პირველ ნახევარში საკუთარი გულშემატკივრის წინაშე სირცხვილნაჭამი „მაორები“ შურისძიებისათვის გულანთებულნი ეკვეთნენ მეტოქეს, არაფერს უთმობდნენ და ანებებდნენ. მოედნის ყველა მონაკვეთში თავგანწირულად ებრძოდნენ და ჯერ 18:21 შეამცირეს სხვაობა, ბოლო წუთზე კი „მაორთა“ ბელადმა ტანა უმაგამ ბურთი ხელთ იგდო და საარაკო გარღვევა შეასრულა. მისი შეჩერება კი შესძლეს აფრიკელებმა, მაგრამ შეტევის ბოლო ფაზაში რამდენიმე რაქის შემდეგ ბურთი დაგ ჰაულეტს ჩაუვარდა ხელში. ჰაულეტმა ირბინა და...

**ლადო ფულუკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევის გედის სიმღერა

## დევენპორტი ბოლო გზაზე ყველაფერს თელავს



REUTERS ლაშა ...

პენსიაზე მიმავალი ლინდსი დევენპორტი ვინუსის ჯავრს არ წაიყოლებს

**MERCEDES-BENZ CUP**
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) 4:6, 6:3, 6:3; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ფრანჩესკა სკიავონე (11, იტალია) 6:1, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — ნადეჟდა პეტროვა (7, რუსეთი) 6:1, 6:4; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) 5:7, 6:2, 6:2

**ნახევარფინალი**

**სერენა** — დემენტიევა 6:3, 7:6 (7:2); **დევენპორტი** — ვინუსი 7:5, 2:0 ვინუსმა შეწყვიტა

მშობლიურ სანახებში მოჩოგნავე უილიამსდებს ფინალში დაპირისპირება არც ამ ჯერზე გამოუვიდათ. ეგ იმის გამო, რომ ჯერ ერთი — კალიფორნია ლინდსი დევენპორტის სამშობლოცაა და თანაც ის ახლა უჩაუქეს ფორმაშია, ხოლო მეორეც — ვინუსს მარჯვენა მაჯამ უმტყუნა.

ლინდსის რომ ახლა გედის სიმღერასავით პერიოდი აქვს, ეს დასტურ გარკვეული ამბავია. 28 წლის სამგზის სლემტიტულოსანი ამერიკელი წლის ბოლოს დიდი ჩოგბურთიდან დიდ სამზარეულოში გადანაცვლებას აპირებს და ახლა ისე მშვიდად და რელაქსირებულად ბურთაობს, კაი ხანი რომ არ უბურთავია. ამ ლაღი ბურთაობის წყალობით იყო, წინა კვირას იმავ ვინუსს სტენფორდულ ფინალშიც რომ აჯობა.

უფროს უილიამსდასაც, ცხადია, რევანშის წყურვილი აჩრჩობდა. წყურვილს ლოსანჯელესური ხვატიც ამძიერებდა და მილეთიც მათ მორიგ დაშხოშიან ბორგვას ელოდა, მაგრამ ვერც მილეთს მიერთვა და ვერც ვინუსს. დილით, ვარჯიშისას, რაღაც უხერხული მოძრაობის შედეგად დაზიანებულმა მარჯვენა მაჯამ სერენას უფროს დაიკოს მეორე სეტის დასაწყისში მატჩის შეწყვეტა აიძულა.

არადა, ყველაფერთან ერთად, ეს მათი 24-ე საკარიერო დაპირისპირება გახლდათ და ვინუსი იმისთვისაც უნდა გარჯილიყო, ლინდსისთან აქამდე ნაქონი მცირედი უპირატესობა (12:11) ოდნავ მაინც გაეზარდა. ახლა კი მათ შორის უკვე თანაფარდობაა და, ლინდსი თუ წლეულს მართლაც წასვლას აპირებს, ამაზე კარგ საჩუქარს ვერც ინატრებდა.

რაც შეეხება სერენას, ვარსკვლავები იმ დღეს არც მას უკრეფია, მაგრამ ოკრო-ბოკროდ მოსარჯე დემენტიევას მაინც ეყო. სანდომიანი რუსგოგო კარგი მოწოდებით არასოდეს გამოირჩეოდა და, როცა პირველი სეტის მთელი მესამე გეიმი მეტოქეს ორმაგი შეცდომებით ჩააბარა, არც არავის გაჰკვირვებია. მართალია, ბადესთან ის უფრო აგრესიულად ირჯებოდა და 19 მიძალებიდან 14 მოიგო კიდეც, მაგრამ სერენას სტაბილურმა მოწოდებამ და ღრმა ნაუკანახაზევმა გლაჯუნმა თავისი გაიტანა.

დღეს მხოლოდ ჩემი პოტენციალის 30 პროცენტი გამოვიყენეო, იძახდა ნამატჩევს სერენა და, თქვენ აზრზემც არა ხართ, მე რა შემიძლიაო, დასძენდა.

ისე, უიმბლდონობასთან შედარებით უფრო ნავარჯიშევი და ნაკუნთავები რომ არის, ამას ნაღდად ვერ დავუკარგავთ.

**RCA CHAMPIONSHIPS**
ინდიანაპოლისი. ჰარდი
საპრიზო 600 ათასი $

**მეოთხედფინალი**

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 6:2, 6:3; **ნიკოლას კიფერი** (12, გერმანია) — პარადორნ შრიჩაფანი (4, ტაილანდი) 7:6 (9:7), 7:6 (7:5); **ივან ლიუბიჩიჩი** (10, ხორვატია) — სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) 5:7, 7:5, 6:2; **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 4:6, 6:3, 6:2

**ნახევარფინალი**

**როდიკი** — ლიუბიჩიჩი 1:6, 7:6 (12:10), 7:6 (7:3); **კიფერი** — კარა 6:2, 6:2

შარშანდელ ჩემპიონ ენდი როდიკს ფინალში გასასვლელად ძალზედ გაჭიუტებული ივან ლიუბიჩიჩის წინააღმდეგობის გატეხვა მოუხდა. ხორვატს სამი მატჩბურთიც ჰქონდა და, ოდნავ იღბალიც რომ წახმარებოდა, უეჭველი გაიფინალებდა კიდეც.

ამ ორს ერთმანეთში აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის შემდეგ არ ეთამაშა. მაშინ, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, ლიუბიჩიჩმა როდიკს ჭყიპინა უწოდა და — ეგ არც სხვა მოთამაშეებს ევასებათო — ასეც თქვა.

მაგრამ როდიკს ახლა ეგ ამბავი არ გაჰხსენებია, ძლეული მეტოქე დაინდო და დღეს ბედი ჩემკენ უფრო იყოო, აღნიშნა.

თუმცა აქ მხოლოდ ბედზეც ვერ ვილაპარაკებთ. ისიც სათქმელია, რომ როდიკი ტაიბრეიკებზე საუცხოოდ თამაშობს და მარტო როლანგაროსობიდან დღემდე 15 აიდოსტიდან 14 მოიგო.

ნიკოლას კიფერი კი წლეულს უკვე მეოთხე ფინალში გავიდა. წინა სამში მან ვერაფრით იხეირა და, ვინძლო, არც თქვენ დაგვიწყებოდეთ, წინა კვირას ლოსანჯელესობის გადამწყვეტ შეხლაში თვისტომ ტომი ჰაასთანაც დათმო.

**GENERALI OPEN KITZBUHEL**
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 800 ათასი €

**მეოთხედფინალი**

**რაინერ შუტლერი** (1, გერმანია) — ფლორიან მაიერი (6, გერმანია) 7:6 (8:6), 6:2; **გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — ლუის ორნა (7, პერუ) 7:6 (7:5), 7:6 (7:1); **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — მარიანო საბალეტა (5, არგენტინა) 7:6 (7:4), 7:6 (8:6); **ფერნანდო ვერდასკო** (8, ესპანეთი) — ფელისიანო ლოპესი (4, ესპანეთი) 6:2, 6:3

**ნახევარფინალი**

**მასუ** — შუტლერი 6:3, 6:3; **გაუდიო** — ვერდასკო 6:0, 6:2

წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონი გასტონ გაუდიო უკვე ზედიზედ მეოთხე ტურნირის ფინალში გავიდა. პარიზსა და კიცბიუელს შორის მან ბასტადურ და შტუტგარტულ ფინალებშიც ითამაშა და ორივეგან თვისტომებთან — შვედეთში მარიანო საბალეტასთან, ხოლო გერმანიაში გილერმო კანიასთან დათმო.

**ხორვატიის ღია პირველობა**
უმაგი. თიხნარი
საპრიზო 395 ათასი €

**მეოთხედფინალი**

**კარლოს მოია** (1, ესპანეთი) — ალბერტო მარტინი (5, ესპანეთი) 6:1, 7:6 (7:2); **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (2, ჩეხეთი) 6:3, 6:3; **ფილიპო ვოლანდრი** (4, იტალია) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:2, 6:2; **გილერმო კანიასი** (6, ესპანეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:2, 7:6 (7:4)

**ნახევარფინალი**

**ვოლანდრი** — მოია 6:3, 6:2; **კანიასი** — გარსია-ლოპესი 6:2, 6:2

იტალიელმა ფილიპო ვოლანდრიმ თავის ზედიზედ მეორე უმაგურ ფინალს უწია. თანაც — და ეს ყველაზე მთავარია — საამისოდ შარშანდელ ფინალში მის დამჩაგვრავ კარლოს მოიასს აჯობა. ეს კი — თქვენ რაც გნებავთ, ის თქვით — ზორბა მოულოდნელობა გახლავთ.

რაკილა 27 წლის მალიორკელი ტურნირის ოთხგზის ჩემპიონია და ამ ოთხიდან, 1996 წელს თუ გამოვაკლებთ, სამჯერ წინა სამი წლის განმავლობაში უმარჯვია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოიას უკვე 18 მატჩი იყო, უმაგურ თიხნარზე ბადალი არ ჰყავდა. თანაც, წლეულს თიხნარზე საერთოდაც ლონივრად იგლაჯუნა და, სამ ალაგას — რომში, აკაპულკოსა და ჩენაიში — იპირველა კიდეც.

მაგრამ, 23 წლის ვოლანდრიმ ფინალში გასვლა შარშანაც თუ შეძლო, მისგან იმავის გამეორება არც მეორედ უნდა ყოფილიყო წარმოუდგენელი. ეგ მით უფრო, რომ ორი თვის წინ ზანკტპიოლტენურ თიხნარზე მან კარიერის პირველი ტიტულიც მოირეწა და ამ მომენტისთვისაც რეიტინგსიის საკარიეროდ უმაღლეს, 65-ე საფეხურზე დგას. ერთი სიტყვით, აღმავალ გზაზეა და კარლოს მოიას ნამატჩევს რეზიუმესაც თუ გავითვალისწინებთ (ცხოვრებაში ცუდი დღეებიც გხვდება და დღეს ჩემთვის ერთ-ერთი მათგანი იყოო) ყველაფერი სულ მთლად გასაგები გახდება.

წინა კვირას შტუტგარტობის მომკებმა გილერმო კანიასმა კი წლეულს უკვე მეორე ფინალს მიატანა, რაიც ასევე დასაფასებელი ამბავია.

**ლევან ძელაურაძე**



**დორტმუნდის სუპერტურნირი**

გერმანია. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

**II ტური**

I ჯგუფი: არკადი ნაიდიჩი (გერმანია) — სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) 0,5:0,5; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 1:0

II ჯგუფი: ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5; სერგეი კარიაკინი (უკრაინა) — ვიორელ ბოლოგანი (მოლდოვა) 0,5:0,5

**III ტური**

I ჯგუფი: რუბლიოვსკი — ანანდი 0,5:0,5; სვიდლერი — ნაიდიჩი 1:0

II ჯგუფი: ლეკო — კარიაკინი 0,5:0,5; ბოლოგანი — კრამნიკი 0,5:0,5

# რუსმა გერმანია მეორედ დაიპყრო

მეორე ტურში ვიშვანათან ანანდთან დამარცხებული პეტერ სვიდლერი უკეთ ათამაშდა და მომდევნო ტურში პატარა და უსახელო არკადი ნაიდიჩს სძლია.

რუსმა დებიუტში საკუთარი ფლანგის უსაფრთხოებაზე იზრუნა, მეფე საიმედოდ გადამალა და მეტოქეს რამდენჯერმე უჩხვლიტა. სვიდლერმა ყურადღება მარჯვენა ფლანგისკენ გადაიტანა, 23-ე სვლაზე ლაზიერი h5-ე უჯრაზე დასვა, გვერდით კი ეტლ-კუს წყვილი მიუსვა და ყველამ ერთად შავი ხელმწიფე ამოიღო მიზანში. მოიერიშეების უკუსაგდებად ნაიდიჩმა საკუთარი ეტლები და ლაზიერი დარაზმა, თუმც ჭკუით რუსს ვერ აჯობა და 39-ე სვლაზე დამარცხება აღიარა.

ამ ქულით სვიდლერი თანამემამულე სერგეი რუბლიოვსკის დაეწია, რომელმაც სუპერტურნირის მთავარ ფავორიტ და პირველი ჯგუფის ლიდერ ანანდთან გაათამაშა ყაიმი.







23-ე და 24-ე სვლებზე სვიდლერმა ნაიდიჩს დიდი ძალებით შეუტია

მეორე ჯგუფში კი ყველაფერი უცვლელია. სამი ტურია, მეტოქეები ზედიზედ ყაიმებს თამაშობენ და ქულებიც ერთნაირი აქვთ. ერთადერთი გამოსარჩევი კი მეორე ტურში ისტორიული მეტოქეების ვლადიმირ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს ჯახი იყო.

მეტოქეებმა თავიდან ორიენტირები დაცვაზე გააკეთეს და შეტევისთვის დიდად არ იწუხებდნენ თავს. მშვიდობიანი მარში დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ ფლანგები გაამაგრეს თუ არა, ფიგურების გაცვლას შეუდგნენ, 30-ე სვლაზე კი ლაზიერები დაუხოცეს ერთმანეთს და ზავიც გამოაცხადეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

| I ჯგუფი | |
|---|---|
| ანანდი | 2 ქულა |
| რუბლიოვსკი | 1,5 |
| სვიდლერი | 1,5 |
| ნაიდიჩი | 1 |

| II ჯგუფი | |
|---|---|
| კრამნიკი | 1,5 |
| ლეკო | 1,5 |
| კარიაკინი | 1,5 |
| ბოლოგანი | 1,5 |

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთორმეტე ეტაპი

# დღეს შენ ბატონი ხარ

## შუმახერის უკან დიდი ამბები ხდებოდა



ჯენსონ ბატონი პოდიუმზე მიხაელ შუმახერის გვერდით დგომას დაეჩვია

**სამეფო რბოლებში** პრაქტიკულად ყველგან ყველაფრის მომგები მიხაელ შუმახერი შედარებით უხეიროდ ჯირითობს მშობლიურ „ჰოკენჰაიმრინგზე". 80 დიდპრიზიან ზღაპრულ კოლექციაში გუშინდლამდე მხოლოდ ორი გერმანული ჯილდო ჰქონდა, რაც მისთვის ყველაზე მწირი შედეგიანობაა წლევანდელ ეტაპებს შორის.

ბუნებრივია, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს გამორჩეულად ეწადა თანამემამულეთა წინაშე წარმატების მოპოვება და თავიდანვე ენერგიულად შეუდგა საქმეს. პარასკევს ყველას აჯობა „თავისუფალ პრაქტიკაში", შაბათს კი აშკარა უპირატესობით მოიგო კვალიფიკაცია, მეორე ადგილზე გასულ ხუან-პაბლო მონტოიას მეოთხედი წამით გაასწრო. მიხაელმა შარშანწინდელ თავისივე საპოულე რეკორდს ზუსტად წამი ჩამოაჭრა და ოთხნახევარ კილომეტრიან წრეს 224,6 კმ/სთ საშუალო სიჩქარით შემოუქროლა.

აღსანიშნავია, რომ შუმის და მონტის გარდა ძველი მიღწევა კიდევ რვა მრბოლმა(!) გააუმჯობესა. მსგავსი ვითარებაა წლეულს თითქმის ყოველ ტრასაზე. არცაა გასაკვირი — ძრავების სიმძლავრე 900 ცხენის ძალას გადასცდა, საბურავების მწარმოებლები „ბრიჯსტოუნი" და „მიშლენიც" ყოველმხრივ ცდილობენ, რეზინის ომში ერთმანეთს არ ჩამორჩნენ და თავიანთ კლიენტებს ზესწრაფი ფეხსაცმელი დაუმზადონ. სიჩქარის მკვეთრმა ზრდამ გვარიანად შეაშფოთა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ბოსობა, ასე თუ გაგრძელდა, ვინმე აუცილებლად დაიღუპებაო და მანქანების დასანელებელ ღონისძიებებზე ალაპარაკდნენ, განსაკუთრებით რალფ შუმახერის და იარნო ტრულის ბოლოდროინდელი საშინელი ავარიების შემდეგ. საბედნიეროდ, უნაკლოდ „იმუშავა" პილოტების უსაფრთხოების დამცავმა სისტემამ და ჯოჯოხეთს ორივენი საღ-სალამათები გადაურჩნენ, თუ არ ჩავთვლით პატარა შუმის ორ დაზიანებულ მალას.

სხვათა შორის, რალფი ჰოკენჰაიმში ჩავიდა თავის უილიამსელ კოლეგების და, ცხადია, საკუთარი ძმის საქომაგოდ. თავს კარგად კი გრძნობს, მაგრამ საჭეს ალბათ მხოლოდ სექტემბერში თუ მიუჯდება. იგი წინა ორ ეტაპზე ესპანელმა მარკ ჟენემ შეცვალა, მაგრამ რადგან გუნდს ერთი ქულაც ვერ შესძინა, სერ ფრენკ უილიამსმა შემცვლელის შეცვლა გადაწყვიტა და საჭე 23 წლის ბრაზილიელ ანტონიო პიცონიას ანდო. „ჯუნგლების ბიჭმაც" შეფს იმედი გაუმართლა, ლომივით იბრძოლა და ორი ქულაც მოიპოვა. ანტონიო შარშან „იაგუარით" დაქროდა, მაგრამ თერთმეტი რბოლის შემდეგ ნულოვანი შედეგის გამო გუნდიდან დაითხოვეს.

ტრულიზეც ვთქვათ. შესაძლოა იგი გაისად „ტოიოტაში" რალფ შუმახერის მეწყვილე გახდეს. 30 წლის პილოტმა გუშინ საჯაროდ განაცხადა სეზონის ბოლოს „რენოდან" წასვლის შესახებ. არადა, თითქოს გადაწყვეტილი იყო ფრანგულ საჯინიბოში მისი დარჩენა.

„დარწმუნებული ვარ ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში და ჩემს მომავალში" — თქვა იარნომ, თუმც არ დაუსახელებია გუნდი, რომლის ღირსებასაც დაიცავს 2005 წელს. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ ეს „ტოიოტა" იქნება.

რბოლის სტარტზე მიხაელს გვერდით მონტოია ედგა, უკან კი მესამე შედეგიანი ჯენსონ ბატონი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ რადგან კვალიფიკაციის წინ ძრავა შესაცვლელი შეექნა, ბატონი რეგლამენტის თანახმად ათი სასტარტო პოზიციით უკან დასწიეს. 24 წლის ინგლისელს გუნება წაუხდა, გერმანიაში გამარჯვების იმედი მქონდა, მე-13 ადგილიდან კი რას გავხდებიო.

ძნელი დასაჯერებელია ბატონს შუმახერისთვის ეჯობნა, რბოლა მესამე პოზიციიდან რომ დაეწყო, მაგრამ რაც შეძლო, ისიც გმირობის ტოლფასია.

სტარტის წინ ოლივიე პანის ძრავა ჩაუქრა. ხუთწუთიანი პაუზის შემდეგ ქარავანი ხელმეორედ წავიდა გასახურებლად და რბოლის დისტანციაც ერთი წრით შემცირდა. მიხაელმა მეწინავეობა შეინარჩუნა, მონტოია კი ისე შეყოვნდა, რომ ხუთმა მანქანამ აუარა გვერდი. რუბენს ბარიკელომ დევიდ კულჰარდის გასწრება მოინდომა, მაგრამ ვერ მოზომა, უკნიდან მიეჯახა და „ფერარის" ცხვირი მოემტვრა. „ოპერაციას" თითქმის 15 წამი დასჭირდა და ბრაზილიელი პელოტონის კუდში აღმოჩნდა, ბოლომდე ძალიანაც ეცადა, მაგრამ რბოლის მიწურულს საბურავიც გაუსკდა და სულაც უქულოდ დარჩა. ამით შეწყდა რუბენსის ზედიზედ 12-ეტაპზე ქულებიანი სერია, რაც ფორმულის ისტორიაში მეექვსე შედეგია.

როგორც გაირკვა, ჯანკარლო ფიზიკელას და ფელიპე მასას გარდა ყველას სამ პიტსტოპიანი ტაქტიკა ჰქონია. ეგაა, ბატონმა მეტი საწვავით დაიწყო, რადგან კონკურენტებზე ბევრად უკან იყო და ბოქსებში გვიანი სტუმრობის ხარჯზე აპირებდა ჩამორჩენის აღმოფხვრას. მოახერხა კიდეც, თუმც მეტოქეებიც დაეხმარნენ — ნახსენები მიზეზების გამო ჯენსონი დასაწყისშივე აღმოჩნდა ბარიკელოსა და პანის, მერე კი მონტოიას წინ.

შუმახერი საკმაოდ დაშორდა რაიკონენს და უკვე მეათე წრეზე საწვავის ჩამატების შემდეგაც მის წინ იყო, თუმც ფინელმა ჩამორჩენა შეამცირა და მალე შეუტევდა კიდეც გასასწრებად, მაგრამ მე-14 წრეზე კიმის „მაკს" უკანა ფრთა მოსძვრა, უმართავი გახდა და ტრასიდან შურდულივით გავარდნილი დამცავ კედელს მიეხეთქა. ბოლიდს ნაწილები ფოთლებივით შემოეფცქვნა, მრბოლი საბედნიეროდ არ დაშავებულა. ბატონი მალე მესამე გახდა ზუსტად გათვლილი საბოქსე ტაქტიკის და რამდენიმე ოსტატური გასწრების შედეგად.

საერთოდ, სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო და თვალსასეირო ეტაპი გამოვიდა. ეულად წინგაჭრილ მიხაელის ზურგსუკან საინტერესო ამბები ხდებოდა. „ბავშვებმა" ერთმანეთში ნამდვილი ომი გააჩაღეს, არავის უნდოდა პოზიციის დათმობა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბატონი, ფერნანდო ალონსო, რომელიც სამ დღეში 23 წლის გახდება და მასზე ოთხი წლით უფროსი ტაკუმა სატო. ლამაზი გასწრებებიც ვიხილეთ. რამდენიმე აგრესიული შეტევის შემდეგ ბატონმა ფინიშამდე 15 წრით ადრე ბოლოს და ბოლოს შეძლო ალონსოს უკან ჩამოტოვება და ბოლომდე შეინარჩუნა მეორე პოზიცია. ფერნანდოს საპასუხო ცდის თავი აღარ ჰქონდა, „რენომ" თანდათან უკლო სისწრაფეს.

„წითელმა ბარონმა" ამჯერადაც მეტად ადვილად გაიმარჯვა, სეზონში ზედიზედ მეექვსედ, რაც პირადად მისთვის სარეკორდოა და საერთოდ მეთერთმეტედ, რაც მისივე ორი წლის წინანდელი მიღწევის გამეორებაა. ცნობისთვის, ზედიზედ ცხრამოგებიანი რეკორდი ორგზის ჩემპიონ იტალიელ ალბერტო ასკარის ეკუთვნის და 1952-53 წლებშია დამყარებული.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**გერმანიის დიდი პრიზი**
**25 ივლისი. ჰოკენჰაიმი**
დისტანცია 66 წრე — 301,884 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1:23.54,848 (215,8 კმ/სთ) |
| 2. | (13) | ბატონი (B.A.R) | ჩამორჩა 08,388 |
| 3. | (5) | ალონსო (რენო) | 16,351 |
| 4. | (4) | კულჰარდი (მაკლარენი) | 19,231 |
| 5. | (2) | მონტოია (უილიამსი) | 23,055 |
| 6. | (11) | ვებერი (იაგუარი) | 41,108 |
| 7. | (10) | პიცონია (უილიამსი) | 41,956 |
| 8. | (8) | სატო (B.A.R) | 46,842 |
| 9. | (14) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 1:07,102 |
| 10. | (12) | კლიენი (იაგუარი) | 1:08,578 |
| 11. | (6) | ტრული (რენო) | 1:10,258 |
| 12. | (7) | ბარიკელო (ფერარი) | 1:13,252 |
| 13. | (16) | მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 14. | (9) | პანი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 15. | (17) | პანტანო (ჯორდანი) | 3 წრით |
| 16. | (20) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 4 წრით |
| 17. | (19) | ბრუნი (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (18) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | გაიარა 42 წრე |
| (15) | და მატა (ტოიოტა) | 38 |
| (3) | რაიკონენი (მაკლარენი) | 13 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მ. შუმახერი — 1:13,306 (224,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი — 1:13,780 (223,2 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | 110 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | – | | | | | | | 74 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | 8 | | | | | | | 61 |
| 4 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | – | | | | | | | 46 |
| 5 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | 6 | | | | | | | 39 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 4 | | | | | | | 33 |
| 7 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | 5 | | | | | | | 19 |
| 8 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | – | | | | | | | 18 |
| 9 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | 1 | | | | | | | 15 |
| 10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | – | 3 | – | | | | | | | 13 |

რ. შუმახერი — 12, ვებერი — 7, მასა, პანი — 5, და მატა, ჰაიდფელდი — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | ჩინეთი | იაპონია | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | 10 | | | | | | | 184 |
| 2 რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | 13 | – | 6 | | | | | | | 85 |
| 3 B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | 9 | | | | | | | 76 |
| 4 უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 6 | | | | | | | 47 |
| 5 მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | 5 | 10 | 5 | | | | | | | 37 |

ზაუბერი — 18, ტოიოტა — 8, იაგუარი — 7, ჯორდანი — 5, მინარდი — 1 ქულა

# ტურ დე ფრანსი



REUTERS ულისეს მინდვრებიდან

წლევანდელი ტურის რჩეულები: მაკიუენი, არმსტრონგი, ვირანკი და კარპეცი



# ტურ დე ლენსი
## ARMSTRONG THE STRONGEST!

**სამკვირიანი** უმძიმესი ველომარათონი ისე დასრულდა, როგორც წინა ხუთი. 32 წლის — ახლა უკვე თამამად ვიტყვით — ლეგენდარულმა და იქნებ ყველა დროის უძლიერესმა ველომბრძოლმა ლენს არმსტრონგმა მეექვსედ მოიგო უპრესტიჟულესი ტურ დე ფრანსი და რეკორდების წიგნის ყველაზე ზედა გრაფაში თავისი გვარი ჩაწერა.

ელისეს მინდვრებზე არმსტრონგი უკვე ჩემპიონის შარავანდედით, პარიზული პუბლიკის დაუნანებელი ტაშის აკომპანიმენტით და ზურგზე მეტოქეთა ხელის ტყაპუნით შევიდა. სიმართლე ითქვას, ამ ტურზე ღირსეული მეტოქე არც ჰყოლია.

ძალიან კი დაიღალა და ტურ დე ფრანსიც ესაა. უკვე პედლებიანი რაშიდან ჩამომხედრებული ამბობდა — „ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი დასრულდა. ფეხები და თავი აღარ მივარგა. მიხარია ელისეს მინდვრების ნახვა, ეს ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობაა."

ბოლო ეტაპი არაფერს წყვეტდა და პრინციპში ვერც ბოლოსწინამ შეცვალა ბევრი. პარიზამდე ერთი დღით ადრე არმსტრონგმა ერთხელაც დაამტკიცა ის, რაზეც კარგა ხანია, აღარავინ დავობს — ის საუკეთესოა. მე-19 ეტაპი ქალაქ ბეზანსონის გარშემო 55-კილომეტრიან წრეს შემოწერდა და მრბოლებს ეს გზა ცალცალკე უნდა გაევლოთ. არმსტრონგმა აქაც იპირველა, იან ულრიხს წუთზე მეტი აართვა და ნიჭიერი, მაგრამ მუდამ წაგებული სპორტსმენის სახელი შეატოვა. ულრიხმაც აღიარა — „არმსტრონგი პირველია!"

ულრიხი კი თავის გუნდშიც ვერაა პირველი. ანდრეას კლოედენმა ინდივიდუალურში მესამე ადგილი დაიკავა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილიც კი ჩამოართვა ივან ბასოს.

საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა ავსტრალიელმა რობი მაკიუენმა მოირგო. მთის მეფის წითელკოპლებიანი მაისურა, რაღა თქმა უნდა, რიშარ ვირანკს შერჩა (მეშვიდედ) ხოლო რჩეული ახალბედას თეთრი სამოსი რუსმა ვლადიმრ კარპეცმა ირგუნა.

**კოტე ყორშია**

| | |
|---|---|
| **XIX ეტაპი. 24 ივლისი. ბეზანსონი. ინდივიდუალური რბოლა. 55 კმ** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | 1სთ 6წთ 49წმ |
| 2 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +1წთ 1წმ |
| 3 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | +1წთ 27წმ |
| 6 ივან ბასო (იტალია, CSC) | +2წთ 50წმ |
| **XX ეტაპი. 25 ივლისი. მონტერო — ელისეს მინდვრები. 163 კმ** | |
| 1 ტომ ბუნენი (ბელგია, ქუიქ სტეპი) | 4სთ 8წთ 26წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) | 83სთ 36წთ 2წმ |
| 2 ანდრეას კლოედენი (გერმანია, T-მობაილი) | +6წთ 19წმ |
| 3 ივან ბასო (იტალია, CSC) | +6წთ 40წმ |
| 4 იან ულრიხი (გერმანია, T-მობაილი) | +8წთ 50წმ |
| 5 ხოსე აზევედო (პორტუგალია, US პოსტალი) | 14წთ 30წმ |
| **საუკეთესო სპრინტერი** | |
| რობი მაკიუენი (ავსტრალია, ლოტო-დომო) | |
| **საუკეთესო ახალბედა** | |
| ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, ილეს ბალეარსი) | |
| **მთის მეფე** | |
| რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, ქუიქ სტეპი) | |



*პარასკევს, გვიან ღამით პარიზში „ოქრო ლიგის" წლევანდელი გათამაშების მესამე ეტაპი გაიმართა. სულ „ოქრო ლიგა" ექვს ეტაპის მოიცავს. თუკი გათამაშებაში რომელიმე ათლეტმა ისე, იყოჩაღა, რომ თავის სახეობაში ექვსივე ეტაპზე იპირველა, ის, არც მეტი არც ნაკლები, 1 მილიონის ოქროთი დაჯილდოვდება*



REUTERS პარიზიდან

ფელიქს სანჩესი მილიონისთვის სრბოლას არ ჰყლდება

# როგორ გავყოთ მილიონი

**პარასკევამდე** მილიონზე 5 მძლეოსანი აცხადებდა პრეტენზიას და მათი რიცხვი არც პარიზის შემდეგ შემცირებულა.

სენ-დენის ლე გრან სტადზე 63 851 მაყურებლის წინაშე პირველად 400 მეტრზე წინაღობებით მორბენლები წარსდგნენ. დომინიკელი ფელიქს სანჩესი ერთ-ერთია იმ ხუთთაგან, ვისაც ლიგის მთავარი პრიზის მოგება შეუძლია და მოუგია კიდეც, თუმცა ახლა მას ოდნავ გაუჭირდა.

სასტარტო გასროლიდან ცოტა ხანში სანჩესი და ამერიკელი ჯეიმს კარტერი გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ და ნამდვილი გიჟური სრბოლაც გაჩაღდა. ბოლო ასმეტრიან მონაკვეთში მათ იაპონელი დაი ტამესუეც წამოეწია და ოდნავ გაასწრო კიდეც, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, სანჩესმა სწრაფად მოუმატა და ბოლოს ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა. მისი შედეგი 47,99 წამი გამოვიდა.

ჯეკპოტის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა, ბაჰამელმა ქალბატონმა ტონიკ უილიამს-დარლინგმა გაცილებით იოლად იმარჯვა. 400 მეტრზე სირბილში მას კონკურენცია ვერავინ გაუწია და 28 წლის კარიბელმა ათლეტმა ფინიშთან 49,15 წამში მიირბინა. მისმა შემყურე სპეციალისტებმა ისიც თქვეს, ამას ათენში კონკურენტი არ ეყოლება და ბერძნული ოქრო ეხლავე ხომ არ მიგვეცაო.

ფრანგმა გულშემატკივარმა კი კრისტიან არონის გამარჯვებით გაიხარა. მომხიბლავმა მულატმა სპრინტერმა 100 მეტრი 11,10 წამში დაფარა და პირველი ადგილი იზეიმა, თუმცა მოგვიანებით 200 მეტრიან დისტანციაზე სირბილში მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. ამ დისტანციაზე ყველას ამერიკელმა მუნა ლიმ აჯობა, რომელსაც ფინიშთან მისარბენად 22,49 წამი დასჭირდა.

პორტუგალიელმა ფრენსის ობიკველუმ კი ნამდვილი სიურპრიზი გამოაცხო. 100 მეტრ დისტანციაზე სირბილში მან თვით ოლიმპიურ ჩემპიონ, ამერიკელ მორის გრინს აჯობა და თითქმის ჩაეტია 10 წამში (10,06). გრინი მას სულ რაღაც 0,08 წამით ჩამორჩა. პორტუგალიელმა არც ეს გამარჯვება იკმარა და 200 მეტრზეც ყველაზე სწრაფად ირბინა. მისი — შედეგი 20,12 წამი პორტუგალიის ეროვნული რეკორდი გახლავთ.

კაცთა შორის 110 მეტრ წინაღობებით სირბილში 13,07 წამით საუკეთესო იყო ალენ ჯონსონი.

ფრანგებმა ერთხელაც გაიხარეს. ბევრის გასაოცრად ლესლი დჟონმა მარკ რეკუელის არყოფნაში ღირსეულად მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი და 400 მეტრი 44,99 წამში ირბინა, რაც სავსებით ეყო გამარჯვებისათვის.

1500 მეტრზე სირბილში უნგრელმა ქალბატონმა იუდიტ ვარგამ გამოიდო თავი. მან 4:03,92 წუთში ივარგა და პოდიუმზეც პირველი ავიდა.

ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში, სადაც მილიონი დოლარისთვის მებრძოლი კიდევ ერთი ათლეტი ცდის წვივის ძალუმ კუნთებს. სამხრეთაფრიკელ ჰესტრი ხლოეტს უკრაინელმა ვიკტორია სტიოპინამ ნამდვილი ომი გაუჩაღა. თავიდან ორივემ დასძლია ყველა სიმაღლე 1,99 მეტრის ჩათვლით, მაგრამ 2,01 მეტრზე ვერც ერთმა ივარგა სამსამი ცდის მერე. გოგონებს მეოთხე ცდა მისცეს, თუმცა ამჯერადაც ორივემ გაასცუდა ნახტომი. შემდეგ სიმაღლეს თანდათან დაუწიეს. 1,99 და 1,97 მეტრზე ისევ ვერცერთმა ვერ იყოჩაღა, საბოლოოდ კი 1,95 მეტრს ხლოეტი გადაევლო, სტიოპინა კი ვერა.

ჯეკპოტის დანარჩენმა ორმა მაძიებელმა, შვედმა სამმხტომელმა კრისტიან ოლსონმა და ლიტველმა ბადროს მტყორცნელმა ვირგილიუს ალეკნამაც იოლ გამარჯვებებს მიაღწიეს.

მომავალ ეტაპს ციურიხი მასპინძლობს და ოქროს ზოდებისთვის დავას შესორჩენილი ხუთივე მძლეოსანი იმედს იტოვებს, რომ ამ სიიდან თავად არ ამოეწერება. მილიონის ხუთზე გაჰოფის შემდეგაც არ რჩება ცოტა, მაგრამ ადამიანის ბუნება ხომ ასეთია — რაც მეტი გაქვს, კიდევ მეტიც გინდა.

**ლადო ფულუძიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმარებას ასწავლიან



REUTERS პეკინიდან

დიდ ჩინეთს პატარა იაპონიისგან ბევრი სიმწარე ახსოვს, მაგრამ ახლა მეგობრობის დროა. პეკინში ჩასულან აიკიდოს იაპონელი ინსტრუქტორები და ჩინელ ტურფებს ხელის, ფეხის და ხმლის ხმარებას ასწავლიან.




REUTERS პეკინიდან



REUTERS სიეტლიდან

# ფეხბურთი ყველგან

ამერიკელები მაინცდამაინც არ გიჟდებიან ფეხბურთზე, მაგრამ თითო გიჟს ყველგან იპოვით. აი, ამ გოგომ, ეტყობა, იპოვა, რასაც ეძებდა. ვაშინგტონის შტატში, ქალაქ სიეტლში ევროკლუბები ტურნირობენ და „ჩელსი" — „სელტიკის" თამაშზე, დახეთ, რა გზნებით ჩამხტარა.



REUTERS სანტანდერიდან

# სისხლიანი ქვიშა

ხარს თუ გააცხარებ, გაცხარებულ ცხვარზე უარესია. ცოტაც და ეს გავეშებული და განწირული ცხოველი რქაზე წამოაგებდა თავისი ჯიშის საუკუნო მტარვალს. მატადორი მიგელ ანხელ პერერა ძლივს გადარჩა, ამ ამბის შემსწრე პუბლიკას კი ტაში თუ არა, გმინვა მაინც მოსწყვიტა. ჩრდილო ესპანეთში, სანტანდერში ხდება ეს ამბავი.

# წინაპართა ნაკვალევზე

ინკების იმპერია საუკუნეებმა და კონკისტადორთა სიხარბემ შთანთქა, მაგრამ იქ, შორს, პერუს ანდებში იქაურები დღემდე მეგობრობენ უწყინარ ლამებთან, ცხოვრობენ მათთან ჭერქვეშ და ფეხბურთზეც კი ერთად დაიარებიან. პერუში კოპა ამერიკა ხურს, ეს თანშეზრდილი პატარები კი კუსკოს მახლობლად წინაპართა ციტადელს გასცქერიან. მალე მატჩია. კუსკოში მესამე ადგილისთვის ურუგვაი და კოლუმბია იბრძოლებენ.

REUTERS კუსკოდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge